# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 16 ოქტომბერი 2004 №241 (2262) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეორე ჯგუფში ზოგ-ზოგი ჯოჯოხეთის ფიდერზე ზის

## ქართველები უკრაინელებზე ეჭვობენ, ყაზახები ალბანელებს უჩივიან: ამათ მსაჯი მოქრთამესო



ყაზახეთ — ალბანეთის ავსტრიელ მსაჯ ფრიც შტუხლიკს ყაზახებმა შარი მოსდეს

ჩვენი შესარჩევი ჯგუფი სიკვდილისა არა, მაგრამ სკანდალების ჯგუფად კი ნაღდად შეგვიძლია მოვნათლოთ.

საქართველოს ნაკრების უკრაინასთან მატჩის დასრულებისთანავე, გეხსომებათ, ჩვენებმა მსაჯების მოქრთამვაზე ჩამოაგდეს სიტყვა, ოღონდ ახლა ძნელია იმის თქმა, რა გაგრძელება მოჰყვება ამ ამბავს.

გუშინ კი ჩვენი ჯგუფელისგან ფიფამ ერთი საჩივარი უკვე მიიღო — ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაცია ალბანელებს ავსტრიელი მსაჯის მოქრთამვაში ადანაშაულებს.

საჩივარში წერია, რომ მატჩის წინ ალბანელთა წარმომადგენლები მსაჯთა ოთახში შევიდნენ, რაც ყოვლად დაუშვებელია და რომ მატჩის ნორვეგიელი დელეგატი თავად გაუძღვა ალბანელებს მსაჯებისკენ.

ყაზახები ეჭვობენ, რომ ალბანელები მსაჯებთან ბიძაშვილების მოსაკითხად არ შევიდოდნენ და ვაღიაროთ, რომ ლოგიკურადაც ფიქრობენ.

ფიფა კი ამბობს, ყაზახთა წერილი მივიღეთ, მაგრამ კომენტარს ჯერ არ გავაკეთებთო. მოკლედ, ქრთამი მარტო ჯოჯოხეთს კი არა, იქნებ მეორე ჯგუფსაც ანათებს.



# მახომ და მიხომ რკინიგზიდან არ გადაუხვიეს

გადაწყდა — მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია მოსკოვის „ლოკომოტივში" რჩებიან.

ეს ამბავი მას შემდეგ გაირკვა, რაც რკინიგზული კლუბის შეფმა ვალერი ფილატოვმა განაცხადა, რომ „ძველ გვარდიელებს" კონტრაქტებს გაუგრძელებს.

მართალია, ჩვენებურები ამ სიაში ვერანაირად ვერ ხვდებიან, თუმც ფილატოვის ერთმა კითხვამ, „ვის უნდა წასვლა", ყველაფერს უპასუხა. გუნდიდან წასვლის სურვილი ერთადერთმა, რუსეთის ნაკრების მცველმა ვადიმ ევსეევმა გამოთქვა.

ერთი სიტყვით, ასათიანი და აშვეთია, სულ მცირე, ერთი წელი კვლავ ლოკომოტიველები იქნებიან. არადა, სეზონის წინ ყველაზე მეტად სწორედ მათ გასხვისებაზე ლაპარაკობდნენ — მალხაზს ფრანგული „გენგამი" პირდაპირ კონტრაქტს სთავაზობდა, მიხოს კი რამდენიმე რუსული კლუბი ეპატიჟებოდა.

# დღევანდელი დინამო — ვიტ ჯორჯია ხუთშაბათის დინამო — სოშოცაა



# ახ, ნეტავი...

## რეპეტიცია დროში და სივრცეში: ლოკომოტივი. 20 საათი



# ჩემი და შოთას გამტყუნება პრიმიტიული აზრია

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა უკრაინაში ისე წააგო, გოლი არ გაუტანია და ყველამ ფორვარდებისკენ გაიხედა, თუმც საკამათოა, გოლის ვერგატანა მხოლოდ ფორვარდების ბრალია თუ არა. გუშინ გერმანიაში ფრაიბურგელ ალექსანდრე იაშვილს დავუკავშირდით და პირველ რიგში უკრაინასთან მატჩზე ვკითხეთ



— უკრაინასთან მარცხს და უგოლობას ზოგი ყველაზე უფრო შოთა არველაძეს და ალექსანდრე იაშვილს აბრალებს — რას იტყოდი ასეთ ბრალდებაზე?

— ფორვარდის უპირველესი მოვალეობა გოლის გატანაა, მაგრამ ეს ხან გამოსდის, ხან არა. მაგრამ ჩემზე და შოთაზე წაგების დაბრალება იგივეა, გოლის გაშვება და მარცხი მხოლოდ დაცვას რომ დააბრალო. ფეხბურთი გუნდური თამაშია და თუ მარცხს ფორვარდებს გვაბრალებენ, იოლი და პრიმიტიული გამოსავალი უპოვიათ. თუმცა ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. გულდასაწყვეტი ისაა, რომ უკრაინიდან უქულოდ წამოვედით.

— „ფრაიბურგში" უფრო უკანდახეული ფორვარდის პოზიციაზე გიწევს თამაში, ასეთ ამპლუაში ადრე ნაკრებშიც ყოფილხარ, თუმც ალენ ჟირესი წინწაწეულ თავდამხმელად გათამაშებს — როგორ ფიქრობ, სად უფრო სასარგებლო იქნები ნაკრებისთვის?

— წინწაწეული ფორვარდის პოზიციაზე, რადგან ნახევარდაცვაში ისეთი შემტევი პოტენციალის ფეხბურთელები გვყავს, რომ ჩემი თავდამსხმელების უკან თამაში საჭირო აღარაა. უბრალოდ, ეს ფეხბურთია და ასეთები ხდება ხოლმე — თურქეთთან და ალბანეთთან მთლად კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ოთხი ქულა ავიღეთ, უკრაინასთან კი კარგად ვითამაშეთ და წავაგეთ. საერთოდ, ჩემზე კარგად არავინ იცის, თუ როგორ ვითამაშე ესა თუ ის მატჩი და ცუდზე კარგი არასოდეს მითქვამს.

— უკრაინასთან მატჩის წინ ჟირესმა თავდამსხმელებს რა დაგავალათ?

— თავდამსხმელს კონკრეტული დავალება არ სჭირდება. ფორვარდმა შეტევა სწორად უნდა გააგრძელოს, სახიფათო მომენტი შექმნას და გოლი გაიტანოს. კონკრეტულ დავალებებს ჟირესი მხოლოდ სტანდარტული სიტუაციებისთვის გვაძლევს.

— უკრაინასთან მატჩის შემდეგ ჟირესმა ფეხბურთელებს რა გითხრათ?

— განსაკუთრებული არაფერი, გუნდის თამაშით ჟირესი კმაყოფილი იყო.

— მომდევნო მატჩი ნაკრებს დანიასთან აქვს შინ 17 ნოემბერს...

— ჩვენს ჯგუფში დანია ყველაზე ძლიერი გუნდია. ხალხი თამაშზე ალბათ მოვა, მხარს დაგვიჭერს და ნახავს, რომ ძლიერად თამაში მართლაც შეგვიძლია. თანაც დანიასთან კახა კალაძეც გვეყოლება.

— მანამდე ბუნდესლიგური მატჩები გელის — ახლა სტუმრად „ნიურნბერგს" ეთამაშებით და „ფრაიბურგის" შანსებს როგორ შეაფასებდი?

— „ნიურნბერგთან" ყველანაირი შანსი გვაქვს, წარმატებით ვითამაშოთ. ისიცაა, რომ ამ სეზონში „ნიურნბერგს" შინ თამაში უჭირს.

**დავით თავართქილაძე**

# ლევან ცქიტიშვილი ნოემბრამდე ვერ ითამაშებს

უკრაინა — საქართველოს მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს, ალბათ ნახავდით, ლევან ცქიტიშვილი ფეხზე იკიდებდა ხელს — „ფრაიბურგის" შუახაზელს კუნთი ასტკივდა, მაგრამ მატჩი ბოლომდე ჩაამთავრა.

გერმანიაში დარბუნებულ ცქიტიშვილს ტკივილი არ გაუნელდა და როცა ექიმებმა რენტგენზე გააშუქეს, დიაგნოზიც დაუსვეს — ლევანს კუნთი აქვს გაწყვეტილი.

ცქიტიშვილი ახლა იძულებით ისვენებს და წინასწარი ვარაუდით ორ-სამ კვირას ვერ შეძლებს სრული დატვირთვით ვარჯიშს.

**დავით თავართქილაძე**

## geo_geo_fan@hotmail.com

დღეს რამდენიმე წერილსაც დავბეჭდავთ და ამით რუბრიკი geo_geo_fan დანიასთან მატჩამდე დაგემშვიდობებათ, იქამდე კი მის ადგილს მეორე რუბრიკა, di_na_mo_fan დაიკავებს, რომელზეც ჩვენი „დინამოს" საუეფასთასო ვარაუდებზე, მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებზე შეგეძლებათ მოიწეროთ.

დღევანდელ ფოსტაში კი ეს წერილები მოვიძიეთ

GBERIDZE: ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრებმა ცუდად ითამაშა. მათ წინა ორ შეხვედრასთან შედარებით თამაშის ხარისხი გააუმჯობესეს. მცველებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს. სწორედ ამიტომ არის ორმაგად საწყენი ის, რომ უკრაინის არცთუ ისე ძლიერმა ნაკრებმა ჩვენი დამარცხება შეძლო. ეს მარცხი კი ალენ ჟირესის ბრალია. მან ვერ შეძლო მეტოქისთვის რაიმე მოულოდნელი და არაორდინალური გადაწყვეტილების შეთავაზება. თამაშამდე ერთი თვით ადრე ყველას შეეძლო ჩვენი შემადგენლობის დასახელება. ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც სახიფათოდ უტევდა, მალხაზ ასათიანი იყო და რატომ უსპობს ჟირესი მას წინ თამაშის საშუალებას, გაუგებარია. შოთა არველაძის და გოჩა ჯამარაულის თამაშზე წერით კი ისე დავიღალე, როგორც ისინი დაიღალნენ ფეხბურთის თამაშით.

თქვენი ნებართვით, ამ წერილს უკომენტაროდ დავტოვებ.

KUTAISELI: მაგრა გამიტყდა ჩვენების წაგება, ხმა აღარ მაქვს მეორე დღეა, ტელევიზორთან იმდენი ვიღრიალე, მაგრამ რა ვუყოთ, დანიასთან მოვიგებთ.

ბოლოს კი ამ მოკლე წერილით დაგემშვიდობებით.

SAKARTVELOS GAUMARJOS: უკრაინასთან წაგებამ გული ძალიან მატკინა, მაგრამ არ გაუტეხია, რადგან მჯერა, რომ ჩვენ კიდევ მოვიგებთ!

**WEB ოსტატი ბუარა**



ანდრეი შევჩენკომ ლვოვიდან ხელს ქართული მაისურაც გააყოლა

geo_geo_fan@hotmail.com

# საქართველო — უკრაინის ამხანაგობა დამთავრდა



სერგეი რებროვი (№11) ქართველებთან ბომბარდირია

უკრაინისა და საქართველოს ნაკრებების გზები პირველად 1998 წელს გადაიკვეთა, თუმც ეს გადაკვეთა ამხანაგური იყო.

ლვოვის მატჩამდე უკრაინას და საქართველოს ერთმანეთში ოთხჯერ ეთამაშათ, ოთხჯერვე ამხანაგურად და ჩვენი მეტოქე ოთხჯერვე კმაყოფილი დარჩა.

სამი დღის წინ კი ჩვენები „ოფიციალურადაც" დამარცხდნენ უკრაინასთან.

მოკლედ, უკრაინელები ძალიან გვეუხერხულებიან — ხუთ მატჩში ერთადერთი ფრე და დანარჩენი წაგება რომ დიდი ვერაფერი სანუგეშო შედეგია, ფაქტია.

უკრაინელთაგან ყველაზე მეტი, სამი გოლი სერგეი რებროვმა გაგვიტანა, ჩვენ კი ამის გაკეთება ერთადერთხელ მოვახერხეთ — 2002 წლის 17 აპრილს ლადო ბურდულმა გაისროლა შედეგიანად.

და ერთიც. უკრაინა — საქართველოს ხუთივე მატჩში ორადორ ფეხბურთელს უთამაშია: ალექსანდრ შოვკოვსკის და ლევან კობიაშვილს.

**კახა შალამბერიძე**

### 19.08.98 კიევი

**უკრაინა 4:0 საქართველო**

1:0, 2:0 რებროვი (2, 42), 3:0 სკაჩენკო (57), 4:0 მაქსიმიუკი (75)

**უკრაინა:** შოვკოვსკი (ვორობიოვი 46), გოლოვკო, ვეტუშოკი (კოვალიოვი 46), ვაშჩუკი, ლუჟნი (სტაროსტიაკი 70), მიკიტინი, გუსინი, კოსოვსკი (მაქსიმიუკი 42), კალიტვინცევი (სკაჩენკო 46), შევჩენკო, რებროვი (კონოვალოვი 76)

**საქართველო:** ტოგონიძე (გვარამაძე 46), დიდავა (სილაგაძე 73), კალაძე, ცქიტიშვილი, შეყილაძე, ნემსაძე (წერეთელი 46), კობიაშვილი, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე, იაშვილი (დემეტრაძე 61)

### 20.03.99 თბილისი

**საქართველო 0:1 უკრაინა**

0:1 კონოვალოვი (77)

**საქართველო:** გრიშიკაშვილი, თარხნიშვილი, ბალაშვილი, წერეთელი, გ. ჩხაიძე, კალაძე, ნემსაძე (გახოკიძე 75), დ. ჯანაშია (ალექსიძე 25), კობიაშვილი, დემეტრაძე, ფოცხვერია (აშვეთია 54)

**უკრაინა:** ვორობიოვი (შოვკოვსკი 46), კირიუხინი, გოლოვკო (ვაშჩუკი 46), მიკიტინი, კოვალიოვი, პოპოვი, კოვალი, კარდაში (გუსინი 46), კალიტვინცევი (კონოვალოვი 46), ნაგორნიაკი (ციხმეისტრუკი 74), სკაჩენკო (მიზინი 80)

### 14.02.01 თბილისი

**საქართველო 0:0 უკრაინა**

**საქართველო:** გვარამაძე, თოდუა (კობიაშვილი 46), სილაგაძე, ქემოკლიძე, ხიზანიშვილი, კალაძე, რეხვიაშვილი, მენთეშაშვილი (ა. არველაძე 52), ცქიტიშვილი (ყაველაშვილი 66), ქეცბაია, აშვეთია (ჯამარაული 60)

**უკრაინა:** შოვკოვსკი, დმიტრულინი, გოლოვკო, ვაშჩუკი, ნესმაჩნი, პოპოვი (სტაროსტიაკი 50), ტიმოშჩუკი, ლისიცკი, ხომა (მელაშჩენკო 81), ვორობეი, ვენგლინსკი (კარდაში 68)

### 17.04.02 კიევი

**უკრაინა 2:1 საქართველო**

1:0 რებროვი (17), 2:0 ტიმოშჩუკი (40), 2:1 ბურდული (69)

**უკრაინა:** შოვკოვსკი (რევა 52), კორმილცევი (მაქსიმოვი 57), სკრიპნიკი (ზადოროჟნი 57), ფიოდოროვი, ვაშჩუკი, გუსინი, შევჩენკო (შიშჩენკო 49), ტიმოშჩუკი, ზუბოვი, ვორობეი (სკაჩენკო 64), რებროვი (ნაგორნიაკი 64)

**საქართველო:** გვარამაძე, კობიაშვილი, შაშიაშვილი, რეხვიაშვილი, საჯაია (ბურდული 51), ამისულაშვილი (ვ. დარასელია 83), შეყილაძე, ჯამარაული (ქემოკლიძე 78), ყაველაშვილი (დიდავა 46), ქინქლაძე (ალექსიძე 70), დემეტრაძე (აშვეთია 80)

საქართველოს ჩემპიონატი 16 უმაღლესი ლიგა 11 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ანონსი

# დინამო ვიტ ჯორჯიას ფრანგულად ეთამაშება

## ლოკომოტივი ზღვაზე საქულაოდ მიდის

ათდღიანი შესვენების მერე ეროვნული ჩემპიონატი დღეს განახლდება. მატჩებიც, იცოცხლეთ, თვალსასეირო გველის.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ — სადღეისოდ ყველაზე აქტუალური „დინამო“ და მოფერიანებული „ვიტ ჯორჯია“; საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი „ბათუმი“ და ამბიციამოძალებული „ლოკომოტივი“; სერგო გაბელაიათი იმედგაჩენილი „კოლხეთი“ და ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური გუნდი „თბილისი“.

ერთი სიტყვით, მე-11 ტურში სამი გამოსარჩევი ჯახია და ამიტომ თითოეულზე ცალ-ცალკე ვთქვათ.

ეჭვი არაა, „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ ნაღდად შეეხედება. მით უმეტეს, გია გეგუჩაძის გუნდის მდგომარეობა დღეს ყველაზე აქტუალური და საყურადღებოა. „დინამოს“ 21 ოქტომბერს უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი ელის „სოშოსთან“ და განსაკუთრებულადაც ემზადება. დინამოელები ფრანგებს „ლოკომოტივზე“ უმასპინძლებენ და ამის გამო „ვიტ ჯორჯიასაც“ ვაკეში დაუხვდებიან. გეგუჩაძის ბიჭები ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობენ, თუმც თავში რომ „სოშო“ უტრიალებთ, გასაგები და სავსებით ნორმალურია. თავის მხრივ, ვეტერინარებს კიდევ ერთი შანსი აქვთ, საკუთარი ძალა დაამტკიცონ და თან ვისთან — ჩემპიონატის უდავო ფავორიტთან.

ამ თამაშზე ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ უჩვეულო დროს — 20 საათზე დაიწყება. რატომ? ცხადია, მიხვდით: „დინამო“ — „სოშო“ სწორედ ამ დროსაა დანიშნული.

თბილისიდან ბათუმში გადავინაცვლოთ, სადაც „ლოკომოტივი“ ჩადის ქულის საძიებლად, თუმც ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდება. რკინიგზელთა შესაძლებლობებში ეჭვის შეტანას არც ვაპირებთ, უბრალოდ, „ბათუმია“ ძალიან სახიფათო მეტოქე და, მით უფრო, შინ. ზღვისპირელების სტიმული ისიცაა, რომ „ლოკომოტივს“ კინკილა ქულით უსწრებენ და მარცხის შემთხვევაში დაქვეითება არ ასცდებათ.

„ბათუმი“ — „ლოკომოტივის“ ფრეს ქომაგობს „თბილისი“, რომელიც ამ ორ გუნდს შუა „მურმანის ეკალივით“ გაჩხერილა. ერთი რამ უეჭველია — გიორგი დევდარიანის შეგირდებმა ფოთში თუ მოიგეს, სულ მცირე, ერთი ადგილით მაინც აინაცვლებენ ცხრილში. და „კოლხეთის“ არ ვიკითხოთ? სერგო გაბელაიას გუნდში მისვლის მერე ფოთელებს იმედი მიეცათ, რომ სამარცხვინო ბოლო საფეხურს თავს დააღწევენ და ამის გაკეთება დღესვე შეუძლიათ. მოკლედ, ფოთი გაბელაიას პირველ სამ ქულას ელის.

ტურის დარჩენილ ორ მატჩში კი მაინცდამაინც დიდ ამბებს არ უნდა ველოდოთ. ქუთაისის „ტორპედო“ ზესტაფონში ჩადის და ალბათ სამ ქულასაც წაიღებს შინ. ამ თამაშში ყველაზე საინტერესო მასპინძელთა ახალი თავკაცის, თემურ მახარაძის დებიუტი ჩანს. „დილა“ — „სიონის“ ჯახში კი ყველანაირი შედეგია მოსალოდნელი. სანახაობაზე რა გითხრათ, მაგრამ ფიცხელი ბრძოლა რომ იქნება, ეჭვი არ გვეპარება.



პირველ წრეში „დინამო“ „ვიტ ჯორჯიას“ 3:2 გადაახტა

ფოთი. 16 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი

**კოლხეთი — თბილისი**

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

ბათუმი. 16 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

**ბათუმი — ლოკომოტივი**

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

გორი. 16 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — სიონი**

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

ზესტაფონი. 16 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — ტორპედო**

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

თბილისი. 16 ოქტომბერი. 20 საათი. ლოკომოტივი

**დინამო — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**ბაჩა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 7 | 2 | 1 | 24:7 | 23 |
| ტორპედო | 10 | 6 | 3 | 1 | 15:4 | 21 |
| ბათუმი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:6 | 20 |
| თბილისი | 10 | 6 | 2 | 2 | 21:12 | 20 |
| ლოკომოტივი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:4 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 17 |
| სიონი | 10 | 2 | 1 | 7 | 9:26 | 7 |
| ზესტაფონი | 10 | 2 | 0 | 8 | 6:26 | 6 |
| დილა | 10 | 1 | 1 | 8 | 6:19 | 4 |
| კოლხეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 6:20 | 4 |

# ლიგამ ლიგები განბანა

**გუშინ** საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა გადაწყვიტა, რომ უმაღლეს და პირველ ლიგებს სახელები შეუცვალოს და ეს საკითხი დასამტკიცებლად პროფლიგის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე გაიტანოს.

რამიშვილს სურს, უმაღლეს და პირველ ლიგებს A და B ლიგები დაერქვას. ასეთი იდეა იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ეროვნული ჩემპიონატის სისტემა და ლიგები უფრო სადად იყოს აღქმული. ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლეს ლიგას პრემიერლიგა ჰქვია, ქვედა ლიგას სულ სხვა სახელი და ეს თავისებური იერარქია, ცოტა არ იყოს, ჩახლართულად მოჩანს. თანაც A და B ლიგები ნაკლებად პლაგიატურად გამოსჭვივის.

ერთი სიტყვით, 19 სექტემბერს პროფლიგის საკოორდინაციო საბჭო რამიშვილის გადაწყვეტილებას ალბათ დაამტკიცებს. საკოორდინაციო საბჭოში ხუთი კლუბი შედის: „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „თბილისი“, „ლოკომოტივი“ და „დილა“.

**დავით თავართქილაძე**

# დინამომ კოპალეიშვილს დინამო გაუკეთა



**დაძაბული** ევროშემოდგომა დაუდგა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს. ვახტანგ კოპალეიშვილის ბიჭები დღეს დილით სლოვაკეთის ქალაქ სენეცში გაემგზავრნენ, სადაც ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ. ჩვენს ჯგუფში მასპინძელი სლოვაკების გარდა მალტელები და ლიტველები არიან. ამ ოთხეულიდან ორი საუკეთესო მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაინაცვლებს, სადაც 24 გუნდი იმ ექვსს გამოავლენს, რომლებიც ფინალურ ეტაპზე 19-წლამდელთა მოქმედ ევროჩემპიონ ესპანეთსა და მასპინძელ ჩეხეთს შეუერთდებიან.

ქართველები ურთულეს ჯგუფში არ მოხვედრილან, მაგრამ თავად გუნდშია ურთულესი მდგომარეობა — კოპალეიშვილმა სლოვაკეთში ვერ იახლა თბილისის დინამოელები შოთა გრიგალაშვილი, დავით გიგაური და ჯაბა კანკავა. ამათგან პირველი ტრავმირებულია, გიგაურსა და კანკავას კი თბილისის „დინამომ“ ვეტო დაადო, ეგ ბიჭები გვჭირდებაო. დინამოელთა მიდგომამ კოპალეიშვილი გააბრაზა, კანკავა 21 ოქტომბერს „სოშოსთან“ მაინც ვერ ითამაშებდა (გაფრთხილებების გამო) და უქმად ყოფნას ბარემ ჩვენ შეგვშველებოდაო. არადა, ჯაბა უკვე ეროვნული ნაკრების წევრია და ალენ ჟირესი მას ახალგაზრდულ ნაკრებსაც კი არ უთმობს.

ასეა თუ ისე, 19-წლამდელები თვალშისაცემი დანაკლისით წავიდნენ საევროპოდ, თუმც მალტელი და ლიტველი ახალგაზრდების ვუნდერკინდობაზე აქამდე არაფერი გვსმენია და ჯგუფში მინიმუმ მეორეადგილოსნობა, ვფიქრობ, რეალური უნდა იყოს. იმედია, ასეც იქნება და ვახტანგ კოპალეიშვილის ნაკრები 17-წლამდელებივით ნაადრევად არ დაასრულებს ევროშესარჩევს.

**ილია ნანობაშვილი**

18 ოქტომბერი
**საქართველო — სლოვაკეთი**
20 ოქტომბერი
**საქართველო — ლიტვა**
22 ოქტომბერი
**საქართველო — მალტა**

საქართველოს ჩემპიონატი 16 პირველი ლიგა 9 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
პირველი წრე

**რუსთავი 1:4 ბორჯომი**

**სპარტაკი 2:2 კახეთი**

**ვიტ ჯორჯია 1:0 ცხინვალი**

**ჩიხურა 1:0 ლოკომოტივი 2**

დღეს

**მაღაროელი — ამერი**

ხვალ

**საგარეჯო — ოლიმპი**

**დინამო 2 — იბერია**

**გურია — მერანი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 9 | 8 | 0 | 1 | 26:10 | 24 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 1 | 2 | 17:5 | 19 |
| სპარტაკი | 9 | 5 | 4 | 0 | 15:7 | 19 |
| კახეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 18:17 | 16 |
| ამერი | 8 | 5 | 0 | 3 | 22:6 | 15 |
| დინამო 2 | 8 | 4 | 1 | 3 | 16:14 | 13 |
| მერანი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:13 | 12 |
| ცხინვალი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:13 | 12 |
| ჩიხურა | 9 | 3 | 2 | 4 | 7:11 | 11 |
| იბერია | 7 | 2 | 4 | 1 | 5:6 | 10 |
| ოლიმპი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 |
| გურია | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| რუსთავი | 9 | 2 | 1 | 6 | 12:18 | 7 |
| ლოკომოტივი 2 | 9 | 1 | 3 | 5 | 4:18 | 6 |
| საგარეჯო | 8 | 1 | 1 | 6 | 6:22 | 4 |
| მაღაროელი | 8 | 0 | 3 | 5 | 3:12 | 3 |





ეს ბიჭი ჩემთვის მინდა — გუს ჰიდინკმა ბრაზილიაში მოგზაურობისას რობინიოს თვალი დაადგა

# დე როსი ბედნიერია

„რომამ“ დანიელე დე როსისთან დაკავშირებულ ჭორებს კალმის ერთი მოძრაობით მოუღო ბოლო — ამომავალ ვარსკვლავს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. მოგეხსენებათ, ყმაწვილკაცი ბევრი კლუბის ინტერესის საგანს წარმოადგენდა, მაგრამ ამიერიდან ყველაფერი მოგვარებულია, დე როსი 2006 წლამდე კი არა, 2009 წლის 30 ივნისამდე რომაელია.

„ბედნიერი ვარ — განაცხადა 21 წლის ნახევარმცველმა — მიხარია ჩემი და ამ კლუბის ურთიერთობა რომ გრძელდება“.

ახალი კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე არაფერი თქმულა, თუმცა ჭორების თანახმად მოთამაშის წლიური ჯამაგირი 50 ათასი დოლარიდან დაახლოებით 1,7 მილიონამდე გაიზარდა.

დანიელე დე როსი „რომას“ სკოლის აღზრდილია და მარჩელო ლიპის „სკუადრა ატურას“ წევრიც არის.

**პაპუნა ქედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დანიელე დე როსი გამდიდრდა

# რობინიო მშვიდადაა

**ბოლო პერიოდში** ჰოლანდიურმა გაზეთებმა „პსვ ეინდჰოვენის“ გამო ძალიან ბევრივარაუდი გამოთქვეს და ეს ვარაუდები ძირითადად სამხრეთ ამერიკელი ფეხბურთელების ყიდვას ეხებოდა. შემდეგ, ეჭვებმა ახალი ძალით მაშინ ამოხეთქა, როდესაც ჰოლანდიური გუნდის მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა რამდენიმედღიანი შვებულება სწორედ ამ რეგიონში გაატარა. დაიწერა, რომ ჰიდინკმა რამდენიმე ბრაზილიურ კლუბთან გამართა მოლაპარაკება და ყველაზე მეტად „სანტოსის“ ვარსკვლავ რობინიოს მიუახლოვდა.

„არანაირი ოფიციალური წინადადება არ მიგვიღია — განაცხადა „სანტოსის“ პრეზიდენტმა მარსელო ტეიშეირამ — რობინიოს გარშემო რომ ყოველთვის დიდი ინტერესია, ეს გასაკვირი არ არის. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ამწუთას იგი მხოლოდ ბრაზილიის ჩემპიონატსა და „კოპა სუდამერიკანაზე“ ფიქრობს. ერთი სიტყვით, გარწმუნებთ, რომ ამ ეტაპზე ჩვენი კლუბი რობინიოს თაობაზე არავისთან არანაირ მოლაპარაკებებს არ აწარმოებს. მასთან კონტრაქტი 2008 წლამდე გავაგრძელეთ და ამასთან, რაც არ უნდა გადაგვიხადონ, 2005 წლამდე მის სადმე გაშვებას ნამდვილად არ ვაპირებთ“.

შემდეგ პრეზიდენტმა დასძინა, რომ მის კლუბს მდიდარ ევროპელებთან ფულით გაჯიბრება არ შეუძლია, მაგრამ იქვე გაიმეორა, რომ ამჯერად რობინიოს შეძენას არავინაც არ ცდილობს.

„ფეხბურთელსაც ვესაუბრეთ და ვნახეთ, რომ მას აღელვების არანაირი საბაბი არ აქვს“.

**პაპუნა ქედია**

# ფრთხილად სტადიონზე ქომაგია!



ლისაბონური „ლუზი“ ლუიშ ფიგუსთვისაც ავადმოსაგონარია

**პორტუგალიის** ჩემპიონს და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „პორტუს“ ხვალ ლისაბონში „ბენფიკასთან“ თამაში არ უნდა, რადგან შიშობს, რომ მასპინძელი ქომაგებისგან აგრესიაა მოსალოდნელი.

„პორტუს“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა თქვა, რომ „ლუზის“ სტადიონზე ქომაგები უსაფრთხოების ხაზებს გვერდს უქცევენ და მოედანზე შერბიან. შეგახსენებთ, რომ ამ სტადიონზე, ევრო 2004-ის ფინალში პორტუგალიის და საბერძნეთის შეხვედრისას, მავანმა ბარსელონელმა გიჟმაჟმა, მეტსახელად ჯიმი ჯამპმა არათუ მოედანზე შევარდნა, არამედ ლუიშ ფიგუმდე მირბენა მოახერხა.

მე იქ არ ჩავალ — უთხრა გაზეთ „ო ჟუგოს“ ქვეყნის სპორტის მინისტრმა ერმინიუ ლურეირუმ, რომელმაც მოგვიანებით, სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ მატჩი შეიძლება სულაც გადაიდოს.

**პაპუნა ქედია**

# ითამაშე და ჩუმად იყავი!





იყო დრო, მსოფლიო რო-როზე ლაპარაკობდა,
ახლა კი რონალდოს რომარიო შემოელანძღა

**რონალდომ** რომარიო ამპარტავნობაში დაადანაშაულა. მიზეზი: მოგეხსენებათ, რომარიომ თავი პელეს შეადარა. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი კი დარწმუნებულია, რომ ორი ფეხბურთელი ერთმანეთს სხვებმა უნდა შეადარონ.

„მე თუ მკითხავთ, ნებისმიერი ფეხბურთელი ვინც იტყვის, რომ საუკეთესოა, ამპარტავანია და ეს მხოლოდ საფეხბურთო საკითხი არ არის — განაცხადა რონალდომ — მე ასეთს არაფერს ვკადრულობ. მირჩევნია კარგად ვითამაშო, ხოლო სხვებმა ილაპარაკონ ჩემს შესახებ. თუ ვინმეს პელესთან უნდა შედარება ან პელესშემდგომი ეპოქის საუკეთესო ბრაზილიელობას იჩემებს, სტატისტიკას ჩახედოს, ხოლო საჯარო გამოსვლა და განცხადება სხვებს ვჯობივარ, სწორი არ არის. ასეთ ამბებს ქომაგები და ჟურნალისტები წყვეტენ“.

**პაპუნა ქედია**

# ბექჰემმა ოქროზე უარი თქვა

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელი, სვენ-გორან ერიკსონი ამბობს, რომ დევიდ ბექჰემს ერჩივნა ენისთვის კბილები დაეჭირა და უელსთან მიღებული ყვითელი ბარათი ხმამაღლა არ გახარებოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანმა თავისი ნათქვამით ფურორი გამოიწვია. მან თქვა, უელსელებთან მსაჯს თავი იმიტომ დავასჯევინე, აზერბაიჯანში რომ აღარ წავსულიყავიო.

„მგონი, ამიერიდან დევიდს მეტი ფიქრი მართებს. ლაპარაკი ვერცხლია, სიჩუმე — ოქრო — განაცხადა ერიკსონმა — მეორე მხრივ, მას ძალიან დასწყდა გული, რეაქცია რომ გამოიწვია, მაგრამ ეს რეაქცია ამხელა თუ იქნებოდა არ ეგონა. ის ბოდიშს იხდის“.

შემდეგ ერიკსონმა დასძინა:

„არ ვიცი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ან ფიფა რას აპირებენ, მაგრამ ჩემთვის ეს საკითხი ამოწურულია“.

**პაპუნა ქედია**




სვენ გორან ერიკსონმა დევიდ ბექჰემს ლაპარაკი აუკრძალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

ბაკუნა კედია

# რა დრო დადგა...

## იუვე-მესინა ტურის მთავარი თამაშია

**„სან სიროში"** ხვალ, ჩვენი დროით 17 საათზე ასეთი თამაშია: „ინტერი" „უდინეზეს" მასპინძლობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უდინელები იმედით შესცქერიან მომავალს. საქმე ის გახლავთ, რომ „უდინეზე" აქ ზედიზედ ორი წელიწადია იგებს — გასულ სეზონში „ინტერიც" დაიფრინა და „მილანიც".

რობერტო მანჩინის ბიჭების ამბავი კი მოგეხსენებათ — ხუთი თამაშიდან ერთი აქვთ მოგებული და ოთხი ფრედ ნათამაშები. ახლა,

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| იუვენტუსი | : | მესინა |
| ლივორნო | : | რომა |
| **ხვალ** | | |
| ბოლონია | : | ატალანტა |
| ბრეშა | : | პარმა |
| კალიარი | : | მილანი |
| ფიორენტინა | : | სიენა |
| ინტერი | : | უდინეზე |
| ლაციო | : | კიევო |
| ლეჩე | : | პალერმო |
| რეჯინა | : | სამპდორია |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:1 | 13 |
| მესინა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:5 | 11 |
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| კიევო | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| პალერმო | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 9 |
| კალიარი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ლეჩე | 5 | 2 | 2 | 1 | 12:8 | 8 |
| ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ინტერი | 5 | 1 | 4 | 0 | 11:10 | 7 |
| სამპდორია | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | 6 |
| ბოლონია | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | 6 |
| რეჯინა | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| უდინეზე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:3 | 5 |
| რომა | 5 | 1 | 2 | 2 | 10:12 | 5 |
| ფიორენტინა | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| სიენა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| ატალანტა | 5 | 0 | 3 | 2 | 6:9 | 3 |
| პარმა | 5 | 0 | 3 | 2 | 3:8 | 3 |
| ბრეშა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:12 | 3 |
| ლივორნო | 5 | 0 | 2 | 3 | 5:9 | 2 |

შუაში ჩასმულმა სანაკრებო ამბებმა გადაგვავიწყა, თორემ ბოლო ტურში, „სტადიო ოლიმპიკოზე", „ინტერი" „რომას" 3:1 უგებდა და 3:3 ითამაშა. ერთი სიტყვით, „შავ-ლურჯებს" დაცვაში პრობლემები აქვთ.

ამას, წესით ადრიანოს დაღლაც უნდა დაემატოს. მოგეხსენებათ, ინტერელთა მთავარი ვარსკვლავი და მეგოლე სანაკრებო თამაშზე სამხრეთ ამერიკაში გახლდათ და ოკეანეზე გადაფრენ-გადმოფრენას ბუნებრივია, დაღი უნდა დაესვა. ასე და ამგვარად, მილანელთა თავდასხმაში ალვარო რეკობასა და კრისტიან ვიერის წყვილს უნდა ველოდოთ, თუმცა მოდით ისიც გავიხსენოთ, რომ ვიერის თამაშიდან გოლი მარტის მერე არ გაუტანია, ხოლო ბოლო ამხანაგურ თამაშში ორი უადვილესი მომენტი გაუშვა ხელიდან.

სურათის სისრულისთვის უნდა ითქვას, რომ ობაფემი მარტინსი და ემრე ბელოზოღლუ დაშავებულნი არიან, ხოლო კრისტიანო ძანეტი დიდხნიანი ტრავმის შემდეგ, ალბათ, დაუბრუნდება მოედანს.

„უდინეზეს" უბრუნდება წინა ტურში დისკვალიფიცირებული ჩეხი მარეკ იანკულოვსკი, კაპიტანი ვალერიო ბერტოტო კი თავის ტრავმის მერე იმ თავს უფრთხილდება და ცხადია, არ ითამაშებს.

დღეს კი, საქართველოს დროით თერთმეტის ნახევარზე ტურინის „დელე ალპიზე" „იუვენტუსი" „მესინას" უმასპინძლებს და ცხრილიდან გამომდინარე ეს შეიძლება ტურის ცენტრალურ თამაშად ჩაითვალოს. არადა, თვენახევრის წინ, სანამ სიცილიელები „რომასა" და „მილანს" არ დაამარცხებდნენ, ვინ იფიქრებდა, რომ ამოდენა „იუვესა" და ასე პატარა „მესინას" მატჩი შეიძლებოდა მთავარი და ყურადღებამისაქცევი ყოფილიყო.

და ვინ თქვა, რომ „ბებერ ქალბატონს" არ გაუჭირდება? განა „შავ-თეთრების" დიდი ნაწილი სანაკრებო საქმეებზე არ იყო გამოძახებული და შაბათსა და ოთხშაბათს ორი თამაში არ ჩაატარა? ესე იგი, ეს დიდი ნაწილი დაღლილი და თუ „სკუადრა აძურას" შედეგებს გავიხსენებთ, ნანერვიულებია. პლუს ტრავმები — ალესანდრო დელ




ამბობენ, „ინტერის" თავდასხმაში ხვალ კრისტიან ვიერი და ალვარო რეკობა იქნებიანო

პიერო ვერ ითამაშებს, დავიდ ტრეზეგემ ამ დღეებში ოპერაცია უნდა გაიკეთოს. ასე, რომ თავდასხმაში მარსელო ზალაიეტა და ზლატან იბრაჰიმოვიჩი რჩებიან, ოღონდ იმასაც შეგახსენებთ, რომ იბრაჰიმოვიჩს რამდენიმე დღის წინ ზურგი სტკიოდა.

სხვათა შორის, საინტერესოა ისიც, რომ ამ შეხვედრაში „იუვეს" შეფებს „მესინას" მარცხენა მცველის, ალესანდრო პარიზის კარგად შეთვალიერებაც შეეძლებათ. მას „რობერტო კარლოს დელო სტრეტოს" ანუ სტრეტელ რობერტო კარლოსს უწოდებენ, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატის ხუთ შეხვედრაში ორი გოლიც კი გაიტანა.

ჩემპიონი „მილანი" კი სარდინიაზე, „კალიარისთან" სათამაშოდ მიდის. ცნობისთვის: „კალიარიმ" შინ ბოლო ცხრა თამაში მოიგო, მაგრამ მასპინძლობს „მილანს", რომელმაც რაც ეს სეზონი დაიწყო, მხოლოდ ერთი მარცხი იწვნია.

კალიარელთა შორის საინტერესო ხალხი თამაშობს: როლანდო ბიანკიმ გასულ შაბათს იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში სლოვენიელთა 3:0 რბევაში მიიღო მონაწილეობა, მაურო ესპოზიტომ „სკუადრა აძურაში" ითამაშა, ხოლო უბერებელი ჯანფრანკო ძოლა ვინც არის, ყველასთვის კარგად გახლავთ ცნობილი.

ხოლო ჩვენს მთავარ შეკითხვაზე — ითამაშებს თუ არა „შავ-წითელთა" შორის კახა კალაძე — წყაროების მიხედვით, რომელთაც ჩვენ ვეყრდნობით, გვპასუხობენ, რომ არა და მილანელთა სავარაუდო შემადგენლობაში მის ადგილას ჯუზეპე პანკაროს წერენ, მაგრამ მოდით ამას ასპროცენტიანი გარანტიით მაინც ნუ მივიღებთ.

„რომა" ლივორნოშია და ხუთი თამაშიდან ხუთი ქულა რომ აქვს ალიზიანებს. დაცვაში მატეო ფერარის ნაცვლად, სავარაუდოდ ბერძენი ტრაიანოს დელასი იქნება, ხოლო წინ ფრანჩესკო ტოტი, ანტონიო კასანო და ვინჩენცო მონტელა.

# ლიპი პლაკატებს ეთანხმება

*სანაკრებო კვირის ბოლოს მარჩელო ლიპიმ კიდევ ერთხელ გადახედა განვლილ ორ ტურს და განაცხადა, რომ იტალიის ნაკრების სტარტით კმაყოფილია. პლუს სამომავლოდ, „სკუადრა აძურას" თავკაცი რამდენიმე დიდი ვარსკვლავის გამოჯანმრთელებას და ფორმაში ჩადგომას ელოდება*

**„ვფიქრობ,** რომ ჩემმა გუნდმა აქამდე კარგად ითამაშა — ბრძანა ტაქტიკოსმა — ამწუთას შესარჩევი ჯგუფის ცხრილში პირველ ადგილზე ვართ, მაგრამ მარტო ესეც არ არის, იყო მთელი რიგი პოზიტიური მომენტებისა".

შეგახსენებთ, რომ ლიპიმ „სკუადრა აძურას" კარი საკმაოდ თამამად გაუღო ახალგაზრდა ფეხბურთელებს. მაგალითად, დანიელე ბონერას, ალბერტო ჯილარდინოს და დანიელე დე როსის, რომელთა შორის განსაკუთრებით დე როსიმ გაუმართლა, რადგან სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ორი გოლი შეაგდო.

„დე როსის ზრდით სრულიად კმაყოფილი ვარ. ის ფანტასტიკური ფეხბურთელია" — დასძინა „იუვენტუსის" ყოფილმა შეფმა, რომელსაც, მეორე მხრივ, ჯერ არ და ვერ გამოუძახებია ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები, როგორებიც გახლავან კრისტიან ვიერი, ფილიპო ინძაგი და ალესანდრო დელ პიერო.

„გამოცდილი და დიდი იტალიელი ფეხბურთელების სანაკრებო სარბიელზე აღდგენა ჩემი გეგმის ნაწილია — გვეუბნება ლიპი — საერთოდაც, ის, რომ გუნდში მხოლოდ საუკეთესოები მჭირდება, სრულიად ნორმალურია. გუნდს და პროექტს ყველაზე დიდ სარგებელს სწორედ საუკეთესოები მოუტანენ".

საინტერესო ფაქტი: ოთხშაბათს, პარმაში „სტადიო ტარდინიზე" ლიპიმ დიდ პლაკატს მოჰკრა თვალი, სადაც ეწერა: „კასანოს გარეშე შორს ვერ წახვალთ".

„პლაკატის შინაარსს აბსოლუტურად ვეთანხმები და ერთი სული მაქვს, როდის ვიხილავ ამ ფეხბურთელს ჩემს განკარგულებაში" — განაცხადა თავკაცმა. ფრანჩესკო ტოტის შესახებ კი ასე უპასუხა:

„ის დიდი ფეხბურთელია, რომელიც სიამოვნებით მოდის შენს განკარგულებაში. ამ დღეებში მისთვის ენთუზიაზმის გასაღვივებლად ერთი სიტყვის თქმაც არ დამჭირვებია".

იტალიელებს შემდეგი თამაში მარტში აქვთ, მაგრამ ნოემბერში ჩინეთს მიემგზავრებიან, სადაც, რამდენადაც ლიპის წამოსცდა თუ წამოაცდევინეს, მესინელი ალესანდრო პარიზი და კიევოელი ანდრეა ბარძალი შეიძლება წაიყვანოს.

**ბაკუნა კედია**






მარჩელო ლიპის „პარმას" თავდამსხმელი ალბერტო ჯილარდინო ნაკრებში ჯერჯერობით ვერ უმართლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისი

ირაკლი ნინიძე

# ნაკრებიდან გავიდნენ და კლუბში არ დაბრუნდნენ...

| IX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | მანჩესტერი |
| არსენალი | : | ასტონ ვილა |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ნორვიჩი |
| ბლეკბერნი | : | მიდლსბრო |
| ბოლტონი | : | კრ. პალასი |
| ევერტონი | : | საუთჰემპტონი |
| ფულემი | : | ლივერპული |
| სიტი | : | ჩელსი |
| **ხვალ** | | |
| ჩარლტონი | : | ნიუკასლი |
| **ზეგ** | | |
| პორტსმუთი | : | ტოტენჰემი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 8 | 7 | 1 | 0 | 26:7 | 22 |
| ჩელსი | 8 | 6 | 2 | 0 | 8:1 | 20 |
| ევერტონი | 8 | 5 | 1 | 2 | 9:7 | 16 |
| მანჩესტერი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:7 | 13 |
| ტოტენჰემი | 8 | 3 | 4 | 1 | 5:3 | 13 |
| ნიუკასლი | 8 | 3 | 3 | 2 | 16:13 | 12 |
| ბოლტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 12 |
| ასტონ ვილა | 8 | 2 | 5 | 1 | 10:9 | 11 |
| მიდლსბრო | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 |
| ჩარლტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:14 | 11 |
| ლივერპული | 7 | 3 | 1 | 3 | 10:6 | 10 |
| სიტი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:7 | 8 |
| პორტსმუთი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 8 |
| ფულემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:13 | 8 |
| ბირმინგემი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:9 | 7 |
| ვესტ ბრომვიჩი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:13 | 7 |
| ბლეკბერნი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:14 | 6 |
| საუთჰემპტონი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:11 | 5 |
| კრ. პალასი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:14 | 5 |
| ნორვიჩი | 8 | 0 | 5 | 3 | 7:14 | 5 |

**პრემიერლიგის** ეს ტური სამ დღეზეა გადაჭიმული, თუმც მთავარი მატჩები დღეს გაიმართება.

დავიწყოთ ლიდერით, რომელიც წაუგებელ მატჩთა სერიის 49-მდე გაზრდას ეცდება. საამისოდ, „არსენალმა“ „ასტონ ვილა“ უნდა დაჯაბნოს ან ფრედ ეთამაშოს, ოღონდ ისიც არის, რომ ფრე „მეთოფეთათვის“ სასურველი შედეგი ვერაფრით იქნება. ბირმინგემელებს „არსენალის“ დამარცხება ხუან პაბლო ანხელის, ნოლბერტო სოლანოს და ულისეს დე ლა კრუზის გარეშე მოუწევს, რომლებსაც დევიდ ოლირი სანაკრებო ვალდებულების მოხდის მერე, დასვენებას უპირებს.

„ვილას“ კი გითხარით, სათავეში უდგას დევიდ ოლირი, კაცი, ვინც დღემდე ამყარებს რეკორდს „არსენალში“ ჩატარებული მატჩების სიმრავლით. „ვილას“ ლონდონში ზურგმტკივანი მეკარე თომას სორენსენი არ ეყოლება, რომელმაც ოთხშაბათს თურქეთთან მატჩისას მიიღო ტრავმა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საამსეზონო დებიუტი ექნება ბირმინგემელთა ჰოლანდიელ მეკარე სტეფან პოსტმას.

„ჩელსი“ მანჩესტერის მეორე გუნდ „სიტის“ სტუმრობს. ორივე გუნდში ბლომად ტრავმირებულები არიან და ვის სასარგებლოდ იქნება ეს გარემოება, თამაშისას გამოჩნდება. ჩვენ უბრალოდ ჩამოვთვალოთ. „სიტის“ არ ეყოლება: ნახევარმცველები კლაუდიო რეინა, ჯოი ბარტონი და ტრევორ სინკლერი, მაგრამ ალბათ დაუბრუნდება გარემარბი სტივ მაკმანამანი. „ჩელსის“ კი მთავარი თავდამსხმელი დიდიე დროგბა ჰყავს დაშავებული. სამაგიეროდ, ორი მცველი გამოუჯანმრთელდა — უეინ ბრიჯი და სელესტიან ბაბაიარო.



ლონდონურ „ჩელსის“ მთავარი ფორვარდი დიდიე დროგბა დაშავებული ჰყავს

მანჩესტერელთა მთავარ გუნდზე მოგვიანებით ვთქვათ. ახლა კი, მესამეადგილოსანი „ევერტონი“ ვახსენოთ და აღვნიშნოთ, რომ ამ გუნდის ასეთი აღზევება დიდი სიურპრიზია.

შემადგენლობას რომ გადავხედოთ, „ევერტონს“ წესით უნდა გაუადვილდეს „საუთჰემპტონის“ დამარცხება, რაკი „წმინდანების“ ბანაკში უამრავი ტრავმირებული ფეხბურთელია. რომელი ერთი ვთქვათ — ჯეიმს ბიტი, პიტერ კრუჩი, მარიანს პახარსი, მეთიუ ოკლი, მიხაელ სვენსონი, თუ ჯეისონ დოდი, გრემ ლე სოს თამაშიც საეჭვოა. მოკლედ, უგრძელესი ჩამონათვალი გამოგვივიდა. ამის საპირისპიროდ კი, „ევერტონს“ მეგოლე ნახევარმცველი ტიმ ჩეჰილი დაუბრუნდა.

ბოლოს კი „მანჩესტერ იუნაიტედზე“ მოგახსენებთ, რომელიც მისთვის აბსოლუტურად შეუფერებულ მეოთხე ადგილზეა.

„მანჩესტერი“ ბირმინგემს სტუმრობს, სადაც მასპინძლობას მისივე ყოფილი ფეხბურთელი სტივ ბრიუსი გაუწევს. „ბირმინგემს“ საამმატჩოდ არ ეყოლება ფორვარდი კლინტონ მორისონი, რომელმაც მუხლის ტრავმა ირლანდიის ნაკრებში გამოძახებისას მიიღო და ამ ტრავმის გამო მთელი თვე გაუცდება.

სერ ალექს ფერგიუსონს კი გადაუწყვეტია უეინ რუნი დაასვენოს, ვისაც ალან სმიტი შეცვლის. საეჭვოა რაიან გიგზის თამაში, მას ვირუსი შეჰყრია.

# მეთოფეებმა სროლა ატეხეს

**იქეთ უქმეებზე** ერთმანეთს „არსენალი“ და „მანჩესტერი“ ხვდებიან და ბევრს ეგებ შორიც მოეჩვენოს ეს მატჩი, მაგრამ ვითარება მის გარშემო უკვე დაძაბულია.

ქიშპს „მეთოფეთა“ მხარე აგორებს. მაგალითად, გასულ კვირაში რობერ პირესმა თქვა, „მანჩესტერს“ გული უსკდება, ისე ეშინია ჩვენთან თამაშისაო.

ახლა კიდევ ფრანგული ტელევიზიით გამოსვლისას, „არსენალის“ ბოსმა არსენ ვენგერმა მთლად მიწაში ჩადო სერ ალექს ფერგიუსონი და მისი გუნდი. მათი ოქროს ხანა ჩავლილიაო, თქვა ვენგერმა.

„ამ გუნდის საუკეთესო წლებია 1999, 2000, 2001. მიზეზი უბრალოა, დიდებული ფეხბურთელები ჰყავდათ, რომლებმაც უკვე მიაღწიეს თავიანთ პიკს და მეტის გაკეთება არ შეუძლიათ“, ახსნა თავისი შეხედულება ფრანგმა, „ისინი ახალ გუნდს აშენებენ, მაგრამ საკითხიც ეს არის. სჯობიან კი ეს ახალბედები წინა თაობას? ამიტომ მე არ მგონია, რომ „მანჩესტერი“ ჩემპიონობის კანდიდატი იყოს“.

1999 წლის სამი ტიტულის მომგები გუნდიდან დღეს „მანჩესტერს“ მხოლოდ რაიან გიგზი, პოლ სქოულზი და ძმები ნევილები შემორჩენიან.

გასულ კვირაში, პირესი იმასაც ამბობდა, რომ მის გუნდსა და „მანჩესტერს“ შორის გარდამტეხი მომენტი შარშან, „ოლდ ტრეფორდზე“ სკანდალით დასრულებული უგოლო მატჩი იყო, რომელშიაც „მეთოფეებმა“ რუუდ ვან ნისტელროი სცემეს სიმულაციისთვის, ამ უკანასკნელმა კი პენალტი გაარტყა ძელს. მაშინ ფსიქოლოგიურად ვიმარჯვეთო, აცხადებდა პირესი.

ვნახოთ, მასპინძელი იქეთ კვირასაც „ოლდ ტრეფორდი“ იქნება.

დღეს კი „არსენალი“, „ასტონ ვილას“ ხვდება და არა ჰყავს ჟილბერტო სილვა, ედუ და ფრედი ლიუნგბერგი.

**ირაკლი გამყრელიძე**









ალექს ფერგიუსონს არსენ ვენგერი აქედანვე აშინებს, კვირის თავზე ნაცარტუტად გაქცევთო



მალკოლმ გლეიზერს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა

# მანჩესტერი არ იყიდება

**ამერიკელი** მილიარდერის მალკოლმ გლეიზერის ოცნებას წერტილი დაესვა ხუთშაბათს საღამოს, როცა მისი მოლაპარაკებები „მანჩესტერ იუნაიტედის“ ორ მთავარ მეწილესთან თანხმობის გარეშე დასრულდა. გლეიზერი „მანჩესტერის“ აქციების 19 პროცენტს ფლობს, ირლანდიელი მილიარდელები ჯონ მანიე და ჯეი-პი მაკმანუსი 29-ს. გლეიზერს სწორედ მათი აქციების შეძენა სურს, თითოს სამ მილიონ გირვანქად, ისე, რომ წყვილს 35-35 მილიონი შეხვდება. ამის შემდეგ, გლეიზერს კანონის ძალით შეეძლება, რომ კლუბის ყველა სხვა აქცია იყიდოს და ერთადერთი მფლობელი შეიქნეს.

ოღონდაც, ორმა ირლანდიელმა უარი თქვა აქციების გაყიდვაზე.

გლეიზერის გამოჩენას თან ახლდა კლუბის გულშემატკივრების და მცირე აქციონერების გაუგონარი პროტესტი მის მიმართ და ბოიკოტის ტაქტიკა, არარავის ეყიდა კლუბის მაისურები, ქუდები და შარფები, თუკი ამერიკელი „მანჩესტერის“ პატრონი გახდებოდა.

მეწილეთა წარმომადგენელმა ოლივერ ჰიუსტონმა გახარებულმა განაცხადა, რომ ფანების 10-დღიანმა პროტესტმა გავლენა იქონია მანიესა და მაკმანუსზე: „ახლა კლუბის საბჭოს უნდა ველაპარაკოთ, რათა ამგვარი მუშტრებისგან დამცავი მექანიზმები შეიქმნას“.

მოკლედ, ამერიკელს არაფერი გამოუვიდა...

**ირაკლი გამყრელიძე**

# გერმანია

ლევან კალაურაძე

## ბატარეა დატენილია

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მაინცი | : | ვერდერი |
| ბაიერნი | : | შალკე |
| ბოხუმი | : | ჰანზა |
| ჰერტა | : | ლევერკუზენი |
| ჰამბურგი | : | არმინია |
| შტუტგარტი | : | დორტმუნდი |
| ნიურნბერგი | : | ფრაიბურგი |
| **ხვალ** | | |
| ჰანოვერი | : | ვოლფსბურგი |
| გლადბახი | : | ლაუტერნი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი | 7 | 6 | 0 | 1 | 13:6 | 18 |
| შტუტგარტი | 7 | 5 | 2 | 0 | 15:5 | 17 |
| ბაიერნი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:9 | 14 |
| ვერდერი | 7 | 4 | 0 | 3 | 15:8 | 12 |
| მაინცი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:9 | 12 |
| ლევერკუზენი | 7 | 3 | 2 | 2 | 13:11 | 11 |
| შალკე | 7 | 3 | 0 | 4 | 8:12 | 9 |
| ჰერტა | 7 | 1 | 5 | 1 | 7:6 | 8 |
| დორტმუნდი | 7 | 1 | 5 | 1 | 12:12 | 8 |
| ჰანოვერი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:10 | 8 |
| არმინია | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| ნიურნბერგი | 7 | 1 | 4 | 2 | 12:12 | 7 |
| ფრაიბურგი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:9 | 7 |
| ბოხუმი | 7 | 1 | 4 | 2 | 12:15 | 7 |
| გლადბახი | 7 | 1 | 3 | 3 | 11:12 | 6 |
| ლაუტერნი | 7 | 2 | 0 | 5 | 10:15 | 6 |
| ჰამბურგი | 7 | 2 | 0 | 5 | 8:15 | 6 |
| ჰანზა | 7 | 1 | 2 | 4 | 8:14 | 5 |

**გერმანიაში** გამორჩევით მოელიან „შტუტგარტისა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ საამშაბათო შეხლას — მათიას ზამერმა ხომ პირველად უნდა უმასპინძლოს თავის ყოფილ გუნდს. ზამერი ბოლო მომენტამდე იმედოვნებდა, რომ მისთვის ამ პრინციპულ შეხვედრაში კევინ კურანის გამოყენებას შესძლებდა. კურანის, ვინაც სეზონი რიგიანად დაიწყო და ნაკრების შემადგენლობაში გამართულ ორ ამხანაგურ მატჩში ოთხი გოლიც გაიტანა, ბოლო ერთი თვე კოჭის ტრავმის გამო გაუცდა. შტუტგარტიდან მოსული ბოლო ინფორმაციით, ის ახლა თითქოს უკვე სავსებით გამოჯანმრთელებულია და ზამერსაც სწორედ ამის იმედი ჰქონდა.

„შტუტგარტი“ წლეულს ბუნდესლიგის ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია და, თუკი ამ მატჩის მოგებასაც შეძლებს, სულ მცირე 24 საათით მაინც გალიდერდება ანუ მანამ, სანამ საქმეში ტურამდელი ლიდერი „ვოლფსბურგი“ ჩაერთვებოდეს. რაც შეეხება „დორტმუნდს“, კლუბს ამ მომენტისთვის გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი ვალი აქვს დაგროვილი და, ბუნებრივია, აწეწილი საფინანსო საქმეებიდან ქომაგთა ყურადღების გადატანას შედეგიანი ბურთაობით ეცდება.

„ფრიც ვალტერ შტადიონივით“ პირთამდე უნდა გადაივსოს მიუნხენის ოლიმპიური არენაც — „ბაიერნი“ „შალკეს“ ხვდება და გერმანიის საფეხბურთო თემი დიდი ჯახის მოლოდინშია. სტუმრებს უნდა მობრუნებოდათ ბრაზილიაში „ბატარეების დასატენად“ გამგზავრებული აილტონი, მასპინძელთა რიგში კი თითქოს ისევ უნდა გამოჩნდეს კუჭმოშუშებული ჰასან სალიჰამიჯიჩი. თუმცა, ყველაზე მეტი წყვილი თვალი მაინც ოლივერ კანის გარჯას დააკვირდება — ოლიმ კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცოს, რომ ქვეყნის უპირველესი მეკარე სწორედ იგი გახლავთ.

ბოხუმში მოსტუმრე „ჰანზას“ იმის იმედი აქვს, რომ იქ ნათამაშები ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი მოიგო და ერთი ფრით გაასრულა. თუმცა, ამჟამინდელი ბითური ფორმიდან გამომდინარე, როსტოკელებს იმავის გამეორება თითქოს უნდა გაუჭირდეთ. მასპინძლებს ექვსკვირიანი ტრავმის შემდეგ უბრუნდებათ დანიელი შემტევი პეტერ მადსენი, სამაგიეროდ, წვივის ტრავმა ჰქონია მათ პოლონელ ნახევარმცველ ტომაშ ცდებელს.

„ვერდერი“ იმედიანად ჩადის მაინცში, რაკილა გუნდს ზურგის ოთხკვირიანი ტრავმის მერე კვლავ უკაპიტნებს ფრანკ ბაუმანი. მასპინძლებს ალბათ ფეხმტკივანი მცველი მატიას აბელი და ასევე ფეხმტკივანი თავდამსხმელი ნიკლას ვაილანდტი დააკლდებათ.

ნიურნბერგში „ფრაიბურგს“ შეიძლება ბურკინაფასოელი შემტევი უილფრიდ სანუ და იბრაჰიმ ტანკო აკლდეს, სამაგიეროდ უნდა მობრუნდესსავით ნახევარმცველი ტობიას ვილი. ბოლო ექვს შეხვედრაში გაუმარჯვებელი ნიურნბერგელები კი ალბათ სლოვაკ ნახევარმცველ მარეკ მინტალს მოისაკლისებენ.

„ჰერტას“ თავკაცმა ფალკო გიოტცმა „ლევერკუზენის“ წინააღმდეგ ეგებ ყოფილი ამგუნდელი, თურქი ნახევარმცველი ილდირაი ბაშთურქი დააყენოს. „ბაიერს“ კი დასტურ არ ეყოლება უელსთან 3:2 მოგებულ მატჩში თავდაშავებული პოლონელი მცველი რადოსლავ კალუჟნი. „ჰერტას“ წლეულს შინ ჯერ ერთი მატჩიც არ მოუგია, თუმცა თავის მხრივ, გასვლაზე „ბაიერსაც“ მხოლოდ ერთი ქულა აქვს ნაშოვნი.

შეჭირვებულ „ჰამბურგს“ „არმინიასთან“ ალბათ არ ეყოლება შვეიცარიელი ნახევარმცველი რაფაელ ვიკი (წვივის ტრავმა) და მცველი ბასტიან რაინჰარდტი (ბარძაყის ტრავმა). სტუმრებს კი მარკო კიუნცელის მოკეთებასთან ერთად შეტევაში უფრო ფართო არჩევანი ექნებათ.

მოულოდნელი ლიდერი „ვოლფსბურგი“ ჰანოვერში ნაღდად ვერ ჩაიყვანს მუხლნაოპერაციევ ბულგარელ ნახევარმცველ მარიან ხრისტოვს და მის ნაცვლად სავარაუდოდ ბარძაყმოკეთებული პაბლო ტიამი გაირჯება.

„გლადბახისა“ და „კაიზერის“ შეხლაში კი შესაძლოა ორივე გუნდის თავკაცთა, შესაბამისად, ჰოლგერ ფახისა და კურტ იარას ბედი გადაწყდეს. ეს გარემოება გვავარაუდებინებს, რომ მატჩი ძალზედ დაძაბული უნდა იყოს.



მათიას ზამერი ყოფილ შეგირდებს ასე ხელგაშლილი ნამდვილად არ დახვდება

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლოტინა დიდ გულზეა: ბარსელონას დავაჩოქებ!

| VII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ესპანიოლი | : | ბარსელონა |
| დეპორტივო | : | ხეტაფე |
| ბეტისი | : | რეალი |
| **ხვალ** | | |
| ბილბაო | : | მალაგა |
| ატლეტიკო | : | რასინგი |
| ვალენსია | : | სევილია |
| სარაგოსა | : | სოსიედადი |
| მალიორკა | : | ვილიარეალი |
| ოსასუნა | : | ალბასეტე |
| ნუმანსია | : | ლევანტე |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 13:3 | 16 |
| ვალენსია | 6 | 4 | 2 | 0 | 15:6 | 14 |
| სევილია | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 11 |
| მალაგა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ესპანიოლი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 10 |
| ატლეტიკო | 6 | 3 | 1 | 2 | 6:3 | 10 |
| ლევანტე | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 10 |
| ოსასუნა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| სარაგოსა | 6 | 3 | 1 | 2 | 12:13 | 10 |
| რეალი | 6 | 3 | 0 | 3 | 4:4 | 9 |
| დეპორტივო | 6 | 2 | 2 | 2 | 7:11 | 8 |
| ვილიარეალი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:4 | 6 |
| ხეტაფე | 6 | 2 | 0 | 4 | 7:9 | 6 |
| ბეტისი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:11 | 6 |
| ბილბაო | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 |
| ალბასეტე | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| სოსიედადი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ნუმანსია | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| რასინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| მალიორკა | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | 4 |



მიგელ ანხელ ლოტინა

**„აბსოლუტურად** დარწმუნებული ვარ, რომ მეტოქეს დავამარცხებთ. სტუმარ გუნდს უდიდეს პატივს ვცემთ, მაგრამ კატალონიურ დაპირისპირებაში გამარჯვება „ესპანიოლს“ დარჩება. თუ მათ სურთ მოიგონ, ბევრი ოფლი უნდა დაღვარონ“ — ეს თამამი სიტყვები ბარსელონური „ესპანიოლის“ მწვრთნელ მიგელ ანხელ ლოტინას ეკუთვნის.

მოკლედ, დღეს, სრულიად კატალონიისთვის სიტყვა „ერთობას“ გახვრეტილი გროშის ფასი აქვს — „ესტადიო მონჟუიკზე“ „ესპანიოლი“ და „ბარსელონა“, ტრადიციულად სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეერკინებიან ერთმანეთს.

სენიორ ლოტინა, თქმა არ უნდა, სახელიანი მეტოქის ხშირტრავმიანობამ გაათამამა — „ბარსას“ ლაზარეთში ამბები და ხალხი ტრიალებს, ნუ იკითხავთ. აქამდე თუ ტიაგო მოტა, ედმილსონი, გაბრი, სილვინიო, ალბერტ ხორკერა და ლუდოვიკ ჟიული თანაგუნდელებს ტრიბუნიდან ქომაგობდნენ, გაირკვა, რომ „ესპანიოლთან“ ხერარდ ლოპესიც ვერ ითამაშებს. გუნდის ექიმთა განცხადებით, ზემოხსენებულ ფეხბურთელთა გამოჯანმრთელებას საკმაო დრო დასჭირდება.

სხვა რა გზაა, ტრავმირებულთა ბედით შეფიქრიანებული ფრანკ რაიკარდიც კადნიერი ლოტინას დასასჯელად „მონჟუიკზე“ სავარაუდოდ ასეთ შემადგენლობას დააყენებს: კარში ჩვეულებისამებრ ვიქტორ ვალდესი ჩადგება, დაცვაში ჟულიანო ბელეტი, კარლეს პუიოლი, ოლეგერი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი იქნებიან, შუა ხაზს ხავი, რაფაელ მარკესი, დეკო და რონალდინიო გაამაგრებენ, ხოლო ფორვარდებად სამუელ ეტოო და ჰენრიკ ლარსონი გამწესდებიან. მაგრამ, აქ ერთიცაა, ისლანდია-შვედეთის ამასწინანდელ სანაკრებო მატჩისას ლარსონმა მცირე ტრავმა მიიღო და, გაზეთ „მარკას“ ჟურნალისტს თუ ვენდობით, რაიკარდი შვედის მონაწილეობასაც თურმე ეჭვობს.

ერთი სიტყვით, კატალონიური დერბისთვის დაბეჭდილი 35 ათასივე ბილეთი რა ხანია, გაყიდულია და მოსეირეთა შორის აუცილებლად იქნება „ბარსელონას“ 150-მდე გიჟი ქომაგი, რომელთაც ნებისმიერი მეტოქე გულშემატკივრის დაუნდობელი ცემა-ტყეპა სჩვევიათ და, თავისთავად ცხადია, კატალონიური პოლიციაც უკიდურესად მობილიზებულია.

| 5050 | კალიარი-მილანი | 5,3 | 2,1 | 2,1 | 1,5 | 1,5 | 1,04 |
| 5051 | ფიორენტინა-სიენა | 2,1 | 2,1 | 5,3 | 1,04 | 1,5 | 1,5 |
| 5052 | ინტერი-უდინეზე | 1,75 | 2,35 | 6,0 | 1 | 1,35 | 1,68 |
| 5053 | ლაციო-კიევო | 2,25 | 2,05 | 4,8 | 1,07 | 1,53 | 1,43 |
| 5054 | ლეჩე-პალერმო | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5055 | რეჯინა-სამპდორია | 2,9 | 2,0 | 3,4 | 1,18 | 1,56 | 1,25 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5427 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 2,3 | 1,65 |
| 5428 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,2 | 4,0 |
| 5429 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1,8 | 2,0 |
| 5430 | ბოლტონი-კრისტალ პალასი | 1,5 | 2,6 |
| 5431 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 1,55 | 2,5 |
| 5432 | ფულემი-ლივერპული | 2,0 | 1,8 |
| 5433 | ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 1,75 | 2,1 |
| 5434 | სიტი-ჩელსი | 2,4 | 1,6 |
| 5435 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,95 | 1,85 |
| 5436 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1,95 | 1,85 |
| 5437 | მაინცი-ვერდერი | 2,0 | 1,8 |
| 5438 | ბაიერნი-შალკე | 1,4 | 3,0 |
| 5439 | ბოხუმი-ჰანზა | 1,65 | 2,3 |
| 5440 | ჰერტა-ლევერკუზენი | 1,85 | 1,95 |
| 5441 | ჰამბურგი-არმინია | 1,6 | 2,4 |
| 5442 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1,6 | 2,4 |
| 5443 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 1,7 | 2,2 |
| 5444 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1,95 | 1,85 |
| 5445 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 2,3 |
| 5446 | ლივორნო-რომა | 2,3 | 1,65 |
| 5447 | იუვენტუსი-მესინა | 1,25 | 3,7 |
| 5448 | ბოლონია-ატალანტა | 1,65 | 2,3 |
| 5449 | ბრეშა-პარმა | 1,8 | 2,0 |
| 5450 | კალიარი-მილანი | 2,4 | 1,6 |
| 5451 | ფიორენტინა-სიენა | 1,55 | 2,5 |
| 5452 | ინტერი-უდინეზე | 1,3 | 3,4 |
| 5453 | ლაციო-კიევო | 1,65 | 2,3 |
| 5454 | ლეჩე-პალერმო | 1,8 | 2,0 |
| 5455 | რეჯინა-სამპდორია | 1,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5127 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5128 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,6 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5129 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5130 | ბოლტონი-კრისტალ პალასი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,8 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5131 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5132 | ფულემი-ლივერპული | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5133 | ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5134 | სიტი-ჩელსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5135 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5136 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5137 | მაინცი-ვერდერი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5138 | ბაიერნი-შალკე | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5139 | ბოხუმი-ჰანზა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5140 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5141 | ჰამბურგი-არმინია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5142 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5143 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5144 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5145 | მიონხენგლადბახი-კ.ლაუტერნი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5146 | ლივორნო-რომა | 7,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5147 | იუვენტუსი-მესინა | 1,7 | 15,0 | 35,0 | 3,5 | 5,0 | 15,0 | 20,0 | 15,0 | 15,0 |
| 5148 | ბოლონია-ატალანტა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5149 | ბრეშა-პარმა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,2 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5150 | კალიარი-მილანი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5151 | ფიორენტინა-სიენა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5152 | ინტერი-უდინეზე | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5153 | ლაციო-კიევო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5154 | ლეჩე-პალერმო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5155 | რეჯინა-სამპდორია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5527 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | არსენალი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ბოლტონი-კრისტალ პალასი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | ფულემი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | სიტი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | მაინცი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ბაიერნი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | ბოხუმი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ჰამბურგი-არმინია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ლივორნო-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | იუვენტუსი-მესინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | ბოლონია-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | ბრეშა-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | კალიარი-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | ფიორენტინა-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5552 | ინტერი-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5553 | ლაციო-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5554 | ლეჩე-პალერმო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5555 | რეჯინა-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5327 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 5328 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 5329 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5330 | ბოლტონი-კრისტალ პალასი | 1,7 | 1,9 |
| 5331 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 5332 | ფულემი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5333 | ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 1,7 | 1,9 |
| 5334 | სიტი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5335 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5336 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5337 | მაინცი-ვერდერი | 1,6 | 2,0 |
| 5338 | ბაიერნი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 5339 | ბოხუმი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 5340 | ჰერტა-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5341 | ჰამბურგი-არმინია | 1,65 | 1,95 |
| 5342 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 5343 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5344 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5345 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 5346 | ლივორნო-რომა | 1,65 | 1,95 |
| 5347 | იუვენტუსი-მესინა | 1,75 | 1,85 |
| 5348 | ბოლონია-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 5349 | ბრეშა-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5350 | კალიარი-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 5351 | ფიორენტინა-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 5352 | ინტერი-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5353 | ლაციო-კიევო | 1,65 | 1,95 |
| 5354 | ლეჩე-პალერმო | 1,6 | 2,0 |
| 5355 | რეჯინა-სამპდორია | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5227 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 1,75 | 1,85 |
| 5228 | არსენალი-ასტონ ვილა | 2,0 | 1,6 |
| 5229 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5230 | ბოლტონი-კრისტალ პალასი | 1,9 | 1,7 |
| 5231 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5232 | ფულემი-ლივერპული | 1,8 | 1,8 |
| 5233 | ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 1,7 | 1,9 |
| 5234 | სიტი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5235 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,75 | 1,85 |
| 5236 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1,65 | 1,95 |
| 5237 | მაინცი-ვერდერი | 2,1 | 1,55 |
| 5238 | ბაიერნი-შალკე | 2,1 | 1,55 |
| 5239 | ბოხუმი-ჰანზა | 2,1 | 1,55 |
| 5240 | ჰერტა-ლევერკუზენი | 1,95 | 1,65 |
| 5241 | ჰამბურგი-არმინია | 2,0 | 1,6 |
| 5242 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1,85 | 1,75 |
| 5243 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 1,95 | 1,65 |
| 5244 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1,95 | 1,65 |
| 5245 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 1,6 |
| 5246 | ლივორნო-რომა | 1,95 | 1,65 |
| 5247 | იუვენტუსი-მესინა | 1,85 | 1,75 |
| 5248 | ბოლონია-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 5249 | ბრეშა-პარმა | 1,75 | 1,85 |
| 5250 | კალიარი-მილანი | 1,8 | 1,8 |
| 5251 | ფიორენტინა-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 5252 | ინტერი-უდინეზე | 1,9 | 1,7 |
| 5253 | ლაციო-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 5254 | ლეჩე-პალერმო | 1,9 | 1,7 |
| 5255 | რეჯინა-სამპდორია | 1,7 | 1,9 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი - კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სევდაც, მოწყენილობაც
## დუდუ დადიანის მემორიალმა ქართული კალათბურთი დაგვანახა

**დუდუ დადიანის მემორიალი**

**თსუ 113:87 მაკაბი**
**31:31 26:25 30:13 26:18**

თსუ: მარხვაშვილი (13), მაისურაძე (12), ბაქრაძე (2), ფანჩულიძე (14), კოკოლიშვილი (11); ლეჟავა (31), გაფრინდაშვილი (10), ხიზანიშვილი (12), ვეფხვაძე (6), ბერაია (2), ლომიძე
მაკაბი: ნინოშვილი (21), ბადრიძე (9), ვაშაკიძე (27), ფიცხელაური, ნინიაშვილი (26); წულაია (2), ენუქიძე (2), ერგემლიძე
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**თუჯი 76:64 სსუ**
**19:15 21:19 14:17 22:13**

თუჯი: არწივიძე (7), ჩაჩუა (6), ბოისა (10), დანელიანი (10), ტყეშელაშვილი (15); ლიპარტელიანი (10), მურჯიკნელი (14), ჭოჭუა (4), ტაბატაძე
სსუ: ზანგურაშვილი (5), მ. ბერიშვილი (19), გოლეთიანი (2), ერქვანია (13), ურიდია; პატარაია (9), გასიტაშვილი (7), ჩიტაშვილი (4), ქვილითაია (5), ონიკაშვილი, მეტრეველი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

**დინამო 108:63 ბურჯი**
**33:11 24:17 34:15 17:17**

დინამო: გამყრელიძე (12), ხეცურიანი (22), ლოსაბერიძე (16), დიდია (15), სუხიშვილი (7); ბექაური (4), ლაფანაშვილი (10), ჯანეზაშვილი (13), გულისაბედაშვილი (2), მაისურაძე (7)
ბურჯი: იაგორაშვილი, აკოლაშვილი (9), ზამბახიძე (6), ნუცუბიძე (8), დილმაზაშვილი (16); ქუჯაიძე (2), ფეიქრიშვილი (6), სეხნიაძე (2), პაპუნაშვილი, შერმადინი (4), ქისტაური (10)
მსაჯები: ხათუნა გაბედავა, ლიკა ქაჯაია
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**სტუ 96:86 დევონი**
**31:18 19:25 16:19 30:24**

სტუ: დ. ბერიშვილი (9), გოგობერიშვილი (15), დავითულიანი (12), მარკოიშვილი (20), შანიძე (19); გაგნიძე (6), დევიძე (7), მიქაძე (8)
დევონი: პაშაევი (21), ბახშიევი (12), კეშელავა (3), ტროშინი (7), მუშკუდიანი (11); ი. ბერიშვილი (9), იმნაძე (20), იუსუპოვი (3), ჰამიდზადე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**ირაკლი პერტაია**

ტრაგიკულად დაღუპული დუდუ დადიანის სახელის უკვდავსაყოფად ტურნირი გუშინ ვერის ბაღში თსუ — „მაკაბის" მატჩით გაიხსნა. დარბაზში, რა თქმა უნდა, იყო დუდუს ძმა ლევანი, ნათესავები და მეგობრები, რომელთა სახეებიც ისეთივე სევდიანი გახლდათ, როგორც შარშანდელ და შარშანწინდელ ტურნირებზე.

მატჩების დაწყებამდე მსაჯთა მაგიდაზე ტრადიციულად დუდუ დადიანის პატარა ქანდაკება, გამარჯვებულისთვის განკუთვნილი პრიზი გამოდგეს. იქვე იყო ლამაზი თაიგული და დუდუს სურათი. ყველაფერი მოკრძალებული, მაგრამ ნაღდი და გრძნობით გაჟღენთილი იყო.

ტურნირის ორგანიზატორებმა თითოეულ მოთამაშეს მატჩის დაწყებამდე ახლახან გამოცემული წიგნი გადასცეს. ნუკა არველაძის ნაშრომი დუდუ დადიანის ცხოვრებას ეხება, მის სპორტულ კარიერასა და მოღვაწეობას.

რაც შეეხება ტურნირის სპორტულ მხარეს, ნაკლებად საინტერესო და უაზარტო იყო. როგორც წესი, დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე იმართება და აქ გამომზეურდება ხოლმე იმ საქმის შედეგი, რაც გუნდებმა სეზონთაშორის პერიოდში გასწიეს. ახლაც ასე იყო, მეტ-ნაკლებად ყველა გუნდის ავანჩავანი გამოჩნდა გუშინდელ მატჩებში და დასკვნაც ასეთი უნდა გამოვიტანოთ — მე-14 ეროვნული ჩემპიონატი ძალიან დაბალი დონის, სუსტი გუნდების ტურნირი იქნება. რატომ? ქართული ჩემპიონატი მეტ-ნაკლებად ყოველთვის მდარე ხარისხისა იყო და ამ ზაფხულს ორი საჩემპიონო გუნდის გასაკეთებლად სამყოფი ხალხი ირან-აზერბაიჯანში რომ გაიკრიფა, მაყურებელთა მოწყენილობა და ტრიბუნაზე მთქნარება ახლა ნახეთ...

გუშინდელი მატჩებიც გვარიანად



ნუგზარ კანდელაკი

მოსაწყენი იყო. ყველაზე საინტერესო აზერბაიჯანული „დევონის" და სტუ-ჯეოსელის" დაპირისპირება გამოდგა, თუმცა არც ეს თამაში იყო ისეთი, გულშემატკივარი რომ სკამიდან წამოახტუნებდა.

ქართულ-აზერბაიჯანული შეხლა ბოლოს იყო, მანამდე კი სამი შეხვედრა გაიმართა, რომელთაგან თსუ — „მაკაბის" თუ შეეხედებოდა. მამუკა ტურაშვილის დამოძღვრილმა სტუდენტებმა საბოლოოდ დიდი ანგარიშით კი იმარჯვეს, მაგრამ თავიდან გაუჭირდათ და რომ არა ახალგაზრდების შეუპოვრობა, ეგებ ცივი შხაპიც მიეღოთ.

თსუ-მ თავიდანვე გამოცდილი ხალხით შეუტია მაკაბელებს, მაგრამ შემდეგ ისე გამოვიდა, რომ თამაშის სადავეები სტუდენტების ახალთაობელებმა გადაიბარეს. თსუ-ს ლიდერებს თამაში რომ არ წაუვიდათ, მიშა ფანჩულიძემ, ბესიკ ლეჟავამ გიორგი გაფრინდაშვილმა და დავით ხიზანიშვილმა თამამად შე-



თბილისელი გიორგი გაგნიძე ბაქოელ ლაშა კეშელავას გაურბის

უტიეს მეტოქეს და მესამე მეოთხედის ბოლოს გამარჯვებულის ვინაობაც გაარკვიეს.

მერე იყო „დინამო" — „ბურჯი", ყოვლად ულიმღამო და არაფრისმომცემი მატჩი, რომელშიც დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდმა 45 ქულით გაანადგურა თელაველები. თავად „დინამო" ისეა დასუსტებული, გვარიანი ანგარიშით წააგებს მოწინავე ქართულ გუნდებთან, ჰოდა, რა შეძლებისა იქნება თელავური „ბურჯი", თავად განსაზღვრეთ.

სუსტებზე თუ ვსაუბრობთ, სსუ-ც უნდა ვახსენოთ, რომელიც გუშინ რუსთავის „თუჯთან" დამარცხდა და როგორც ყოველთვის, ამ სეზონშიც გაუჭირდება ორ-სამ მოგებაზე მეტის მოგროვება.

და დღის მატჩი: სტუ — „დევონი", რომელიც, როგორც გულშემატკივრები ამბობდნენ, საფინალოდაც გამოდგებოდა. თავიდანვე ვიტყვით, რომ ტექნიკოსებმა იმარჯვეს, ნუგზარ კანდელაკს კი ბაქოელებთან ჯერაც ბევრი სამუშაო აქვს — ქართველები და აზერბაიჯანელები ერთმანეთში უნდა შეათამაშოს — თუ გუშინ სტუ-მ რამით აჯობა „დევონს", მხოლოდ ერთიანობით.

სტუ ამ ხანებში ორმა ცენტრმა — კახა შენგელიამ და ირაკლი ჯაფარიძემ დატოვა. ბაქოელების ორიენტირიც ეს იყო, სამწამიანიდან უნდა შეეტიათ. კანდელაკს განკარგულებაში ჰყავდა საკმაოდ მაღალი ქართველი მეფარეები — დავით იმნაძე და დავით მუშკუდიანი. თუმც მათ ტექნიკოსების ფარქვეშეთში ფეხი ვერ მოიკიდეს, ხოლო დაბალთა დუელი სტუდენტებმა პირწმინდად მოიგეს.

თუმც ტექნიკოსები მთლად დაბლების იმედად როდი იყვნენ, ირაკლი შანიძე და გიორგი მარკოიშვილი ხანდახან ცენტრებადაც გვევლინებოდნენ. მათი წყალობით სტუ-ელებმა პირველივე მეოთხედში 17-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და შემდეგ მთელი თამაშის განმავლობაში ინარჩუნებდა ლიდერობას.

კანდელაკი ჩვეული სიდინჯით უძღვებოდა თამაშს, საჭირო შეცვლებსაც აკეთებდა და წუთშესვენებებსაც დროულად იღებდა, ეგაა, შემსრულებელთა ნაკლებობას განიცდიდა და ორჯერ ორი ქულის დისტანციაზე მყოფი მეტოქე ხელიდან დაუსხლტა.

ბაქოელები ბოლო მეოთხედის წინ უკვე 4 ქულით აგებდნენ და როგორც მატჩის მსვლელობა კარნახობდა, ბოლო წუთებზე გარდატეხისთვის ემზადებოდნენ. კარგადაც დაიწყეს, თამაშის განახლებისთანავე ორამდე შეამცირეს ჩამორჩენა, მაგრამ შემდეგ პანტაპუნტით აკრიფეს ჯარიმები და ზოგი გავარდა, ზოგიც 4 პერსონალურის გამო სათადარიგოებში გაერია. თუ აზერბაიჯანელები თამაშის მსვლელობისას მსაჯის გადაწყვეტილებებს მოთმინებით ხვდებოდნენ, მატჩის მიწურულს აშკარად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას და არაერთი ტექნიკური ჯარიმაც დაიმსახურეს. ბაქოელები ერთიმეორეს მიყოლებით ი[illegible] საკლისებდნენ ხუთეულის ხალხ[illegible]ა და თეთრი დროშაც სირენამდე [illegible]ამიოდ წუთით ადრე ააფრიალეს.

# ვინც მოითმენს, ავიაფორმას მოირგებს
## ლევან მოსეშვილის გუნდი ფრთებს შლის



მამუკა აბრამიძე „ავიატორია"

**ლევან მოსეშვილი** და მისი „ავიაცია" აღარ ხუმრობენ — ისედაც მძლავრი და დაბალანსებული „თბილავიამშენი" დღითი-დღე ფართოვდება. ავიატორებთან ახლახან მამუკა აბრამიძეც მივიდა, ძალაზე მეტად აზროვნებაზე ორიენტირებული კალათბურთელი, მანამდე კი მოსეშვილის გუნდს საქართველოში დარჩენილ ჭაბუკებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ნიკა ჩხარტიშვილიც შეემატა.

„მამუკა აბრამიძე ძალიან ჭკვიანი და გამოცდილი მოთამაშეა. მე გაკვირვებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ იგი უგუნდოდ იყო და უმალ მოვიწვიე. აბრამიძე სიამოვნებით დათანხმდა „ავიამშენში" თამაშს, აქ ხომ მისი ძველი თანაგუნდელები და მეგობრები ვარჯიშობენ" — გვითხრა ლევან მოსეშვილმა.

აბრამიძე წინა სეზონში თსუ-ში იყო, ისევე, როგორც არაერთი დღევანდელი „ავიამშენელი", თუმც ლევან მოსეშვილის შემოთავაზებაზე უარი არ უთქვამს და ახალი სეზონიდან კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

ავიატორებთან ვარჯიშობს ყოფილი დინამოელი ირაკლი კეიდიაც, რომელიც სსუ-ს მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია ამერიკული კოლეჯის გუნდში მოწყობას ჰპირდება და თუ ოკეანგაღმა არ წავიდა, მოსეშვილის გუნდში ითამაშებს.

თითქმის გადაწყდა, რომ თორნიკე ნინიაშვილიც „ავიამშენში" ითამაშებს, თუმც მას ჯამლეტ ხუხაშვილი კვლავ „მაკაბიში" ექაჩება, კონტრაქტით მე მეკუთვნიო. ნინიაშვილი თვეზე მეტია, მოსეშვილთან ვარჯიშობს და თავს უკვე მისი გუნდის წევრად თვლის, ასე ამბობს, თუ მაკაბელები „ავიამშენში" თამაშის უფლებას არ მომცემენ, კალათბურთს საერთოდ დავანებებ თავსო.

მაშ ასე, ახალწვეულთა შემატებით „თბილავიამშენი" თითქმის დაკომპლექტდა, თუმც, თუ ვინმე ხეირიანი გამოჩნდა, ლევან მოსეშვილი გუნდში მის აყვანაზეც არ იტყვის უარს. მართალი რომ ვთქვათ, უარს არც არავინ ამბობს კარგი მოთამაშეების შემატებაზე, მაგრამ ამისთვის — ყველას კარგად მოგეხსენებათ დ[illegible]ა — ფულია საჭირო. „ავიამშენს" კი, როგორც ჩანს, ხელგაშლილი პატრონი ჰყავს. ა[illegible]იაქარხნის ხელმძღვანელი პანტიკო თო[illegible]რდია მოსეშვილის გუნდს არაფერს აკლე[illegible]ს და თუ ევროთასებზე თამაშს გადაწყ[illegible]ეტენ, ლეგიონერთა ჩამოყვანაზეც არ და[illegible]ხევს უკან.

„ჯერ ა[illegible] ვიცით, მაგრამ თუ გუნდის ხელმძღვა[illegible]ელობამ გადაწყვიტა, რომ ევროპაზე უ[illegible]და გავიდეთ, უცხოელებს აუცილებლ[illegible]ად ჩამოვიყვანთ, საამისოდ თადარიგი უკვე დ[illegible]ავიჭირეთ." — ვარაუდობს ლევან მოსეშვილი.

სამწუხაროა, რომ „ავიამშენი" დუდუ დადიანის მემორიალში მონაწილეობას არ იღებს. მიზეზი ის გახლავთ, რომ როცა გუნდებს ამ ტურნირში სამონაწილეოდ კალათბურთის ფედერაციაში განაცხადი შეჰქონდათ, მოსეშვილის გუნდი მაშინ იქმნებოდა და, ცხადია, იქ თამაშის პრეტენზიაც არ გამოუთქვამს.

**ირაკლი პერტაია**

# გისოსებიდან ჯორდანი გიყურებთ

## შეხედეთ მას და... კალათბურთი დაგა...



რონი პაული, დატყვევებული ჯორდანი!
იქ, გისოსებსმიღმა კალათბურთი მისი თითის წვერზე ბრუნავს

### ჰარლემი, ციხე, ლეგენდა...

**ის ნბა-ში** არ „ბრწყინავს", მაგრამ მას ჯორდანს ეძახიან...

ის ჯეკი ჩანს არ ჰგავს, მაგრამ „მთვრალი ოსტატივით" იბრძვის...

ის შვარცნეგერივით გუბერნატორი არ არის, მაგრამ მისი ტერმინატორივით ეშინიათ...

ის „ჯაილ" ჯორდანია და ეს „ჯაილი" (პატიმარი, ტყვე) — რონალდ პაული, — ამერიკული „ციხის კალათბურთის" ღმერთი და მისი „დატყვევებული" ლეგენდაა!

„ის საუკეთესოა და თუ არასდროს გინახავთ მისი თამაში, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ არც არაფერი გინახავთ და ნამდვილი კალათბურთის შესახებაც არაფერი იცით" — ასე ფიქრობს სეს მ. ფერანტი, დასავლეთ ვირჯინიის ფედერალური ციხის ტუსაღი №18205-083, ამერიკის „ციხის კალათბურთის" მემატიანე და ოფიციალური რეპორტიორი და მას ნამდვილად დაეჯერება, რადგან 1993 წლის 1 ოქტომბრიდან ციხეში ზის და ამერიკული პენიტენციალური სისტემისა და იქაური კალათბურთის შესახებ ყველაფერი იცის. მან რონი პირველად ნიუ ჯერსის შტატის ფედერალურ ციხეში — ფორტ დიქსში ნახა, ზედმეტი სახელი „აბეზარიც" მაშინ შეარქვა და მასზე წერაც იქიდან დაიწყო. ამ დღის შემდეგ რონის და სესის სახელები ერთმანეთს სამუდამოდ დაუკავშირდა. რონი ლეგენდაა, სესი ამ ლეგენდის სრულუფლებიანი თანაავტორი, რადგან სწორედ მისი წერილებით გაიცნო ამერიკამ და მერე კალათბურთის მოყვარულმა მთელმა ვირტუალურმა სამყარომ (ინტერნეტში მას თავისი ვებ გვერდი აქვს) „აბეზარი" „ჯაილ" ჯორდანი, რომელიც — ბურთებს ხსნის და ფარში „აწყობს", ვინც წაართმევს, — თავში „ჩასცხობს!"

დიახ, „ციხის კალათბურთი" ნბა-ს „დავარცხნილი" შოუ არ გეგონოთ. ის გისოსებს მიღმა „მოსაწყენ" ყოველდღიურობაში თითქმის ერთადერთი მეტნაკლებად ცივილური გართობის საშუალებაა — თუ ტელევიზორს არ ჩავთვლით, რომლის ყურებისას ტყვეებიცა და მეციხოვნეებიც ერთ მთლიან ორგანიზმს ქმნიან — ყვირიან, ფეხებს აბაკუნებენ, იგინებიან, აღფრთოვანებისაგან ჰაერში ხტიან და ამ გზით წლების მანძილზე ციხეში ჯდომით ან ყარაულობით ორგანიზმში დაგროვილი ბოღმისა და დაუხარჯავი ენერგიის ოხშივარს „უშვებენ"...

დიახ, ეს ბრძოლაა და არა თამაში. ბრძოლა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. ბრძოლა ავტორიტეტისა და „მაგარი ბიჭის" სახელის მოსაპოვებლად, რომლის გარეშეც შეგიძლია ჩათვალო, რომ უკვე მკვდარი ხარ. ეს უშელავათო ბრძოლაა. უხეში, ხშირად სასტიკი და ქაოტური, მაგრამ მათ სხვა არჩევანი არა აქვთ. ასეთია მათი ცხოვრება გისოსებს მიღმა და იქნებ მის გარეთაც?! ეს მათი ტერიტორიაა, მათი სამყაროა და რონი მისი განუყოფელი ნაწილია. ამიტომ, როცა მოედანზე გადის, მისთვის თამაშის გარდა არაფერი აღარ არსებობს და მთელი სამყარო მხოლოდ ბურთია, — კალათბურთის ბურთი და ასეულობით მაყურებლის თვალწინ ეს „სამყარო" მის ნებას ემორჩილება, მისი თითის წვერზე ჩიკორივით ბზრიალებს... ამ დროს ის თავისუფალია! თავისუფალი ციხისგან და საკუთარი წარსულისაგან, რომლის კოშმარული ზმანებაც მხოლოდ თამაშის დაწყებასთან ერთად ქრება...

### ამერიკული ლეგენდის „ბინძური" წარსული...

რონალდ პაული 1972 წლის 20 აგვისტოს ჰარლემის ერთ-ერთ ჰოსპიტალში დაიბადა. მამამისი ნამდვილი განგსტერი იყო და 1980 წელს მკერდში 7 ტყვია დაახალეს. მაშინ რონი მხოლოდ 8 წლისა იყო, ბებია ზრდიდა, დედა იშვიათად აკითხავდა და ახლა უკვე მამაც აღარ ჰყავდა...

ქუჩა, ჰარლემი, სიდუხჭირე, ყურადღების ნაკლებობა და კრიმინალური მაგალითების „სიუხვე" გარშემო: აი გარემო, რომელშიც რონი იზრდებოდა და უკვე ადრეულ ასაკში — 16 წლისამ გემო ნარკოტიკებსაც გაუსინჯა. მალე ამას ქურდობა და კრეკით ვაჭრობაც მოჰყვა. თუმც იმთავითვე მისი ჭეშმარიტი გატაცება მხოლოდ კალათბურთი იყო. მაგრამ, როცა 18 წლის რონიმ დედაც დაკარგა, მისი ცხოვრება საბოლოოდ აირია.

„დედის სიკვდილის შემდეგ ჩემმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა. უკვე სულერთი იყო, ცოცხალი ვიქნებოდი თუ მოვკვდებოდი" — ამბობს რონი და ამგვარმა სულისკვეთებამ იგი მალე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა — ციხე, გაქცევა, საავადმყოფო (ერთხელ ქურდობისას მუცელში დაჭრეს) და ისევ ციხე, ოღონდ ამჯერად უკვე 92 თვით...

და ამ დღიდან კალათბურთი ერთადერთი თავშესაფარი, ერთადერთი კედელი აღმოჩნდა, რომელიც მან საკუთარ წარსულსა და აწმყოს შორის აავო და რომელიც დღემდე ფორტ დიქსის კედლებზე უფრო „საიმედოდ" დგას!

### შოუ იწყება!

ახლა მისი ჰარლემი ფორტ დიქსია!

მისი ტყვეობა — თამაში; მისი თამაში — დაუვიწყარი შოუ, რომელსაც ის თავდავიწყებით ეძლევა... მასზე ამბობენ, რომ არ იზიარებს გუნდური თამაშის პრინციპს; არ იცის რას ნიშნავს — „მისცე პასი"; ადგილი, საიდანაც ბურთის სროლა არ ღირს! მაგრამ მან იცის მთავარი — ტყორცნა — არის! ტყორცნა — არის!

გაურკვეველია მისი ტექნიკა, შეუფერებელია მისი სიმაღლე — 183 სანტიმეტრი; გაუგონარი, მომაკვდინებელია მისი ენერგია. მოკლედ, მის გარშემო სრული ქაოსია და როცა ბურთი მას აქვს — და ძირითადად ეს სულ ასეა — ვერ ხვდები რას აკეთებს, რა ცეკვას ასრულებს, რა ილეთებს ხლართავს და მერე უცებ „ჩხაკ" — ბურთი ფარს ხვდება, კალათში ვარდება და თითქოს პოლაროიდმა გაანათაო — ტაბლოზე ახალი რიცხვი ინთება!

თავში კი ერთი აზრი „ელავს" — ის, ვინც NBA-ს უყურებს — მაიკლ ჯორდანის ტყვე ხდება, ხოლო ვინც „ჯაილ" ჯორდანს, — ის კალათბურთის! აგრესიული, საშიში, დაუნდობელი, ბრწყინვალე კალათბურთის!

ამიტომ როცა სეს ფერანტის საიტს გახსნით და მის სტატიებს გაეცნობით, გახსოვდეთ, ის ჩვეულებრივ კალათბურთზე არ გესაუბრებათ, ის განქსტერების კალათბურთის ჟამთაამწერელია და მათი რიცხვი მარტო ფორტ დიქსში 4000-ია!



სეს მ. ფერანტი
ციხის კალათბურთის მემატიანე

### „აბეზარი" ბიჭის ვარსკვლავური სახე

პირველად „ჯაილ" ჯორდანზე სტატია „მაგარი ბიჭების" ბიბლიად წოდებულ ჟურნალი „დონ დივაში" გამოჩნდა. გამოჩნდა, ციხის გისოსები გაარღვია და მეყსეულად საერთო ამერიკულ მოვლენად იქცა.

ბევრს ეგონა, რომ ეს რონის 15 წუთიან გაელვებად დარჩებოდა, მაგრამ შეცდნენ. ნიუ იორკის საკალათბურთო ჟურნალმა „სლემმა" კალათბურთისა და რონის ეს პატარა „LOVE STORY" უცბად აიტაცა და მალე ამ „აბეზარი" ბიჭის სახე ნბა-ს ცნობილი მოთამაშეების — ჯეისონ კიდისა და კრის ვებერის გვერდით გამოჩნდა.

„ჯაილ" ჯორდანით მალე ესპანელები და ფრანგები დაინტერესდნენ. „გიგანტეს დელ ბასქეთის" და „ლიბერასიონის" მკითხველები „აბეზარი" ბიჭის უჩვეულო ისტორიამ უცბად მოხიბლა. ახლა სესი ერთადერთი არ არის, ვინც რონიზე წერს, მაგრამ კვლავინდებურად თითქმის ერთადერთია, — ვინც ყველა მისი ახალი ამბავი „პირველი ხელიდან" იცის!

2005 წლის 18 ნოემბერს რონი ფორტ დიქსს დატოვებს და მის წინ სხვა სამყაროს კარი გაიხსნება. არჩევანი კი მას არც ისე დიდი აქვს: ან ისევ ჰარლემის „ჭუჭყს" უნდა დაუბრუნდეს ან სამუდამოდ კალათბურთის ტყვეობაში დარჩეს!

ასე რომ, გაგრძელებას დაელოდეთ...

**მაია ქაპანაძე**

# ტერის მტრების მტერი

## ფაჩულია ქულებს და ნდობას იხვეჭს



**კევინ გარნეტის** „მინესოტასთვის" 22 წუთში 16 ქულის ჩამგდებ ზაზა ფაჩულიას მისი ახალი გუნდის, „მილუოკის" მწვრთნელმა ტერი პორტერმა გარჯა დაუნახა და დაუფასა. გუშინ, გამთენიისას „მილუოკი" ნიკა ცქიტიშვილის „დენვერს" ესტუმრა და ეს საგამოფენო მატჩი უკვე სასტარტო ხუთეულში დაიწყო. 20 წლის ქართველმა ცენტრმა ნბა-ში განთქმულ მოთამაშეებთან მაიკლ რედთან, ჯო სმიტთან, კიტ ვან ჰორნთან და მორის უილიამსთან შეხმატკბილებულად ითამაშა და მშვენივრადაც გაართვა საქმეს თავი. ფაჩულიას ჩვენი ძველი დენვერელი „ნაცნობები" მარკუს კემბი და ფრანცისკო ელსონი მეურვეობდნენ და არცთუ დამაჯერებლად, რაკიდა ქართველმა საგამოფენო მატჩის ...ვალობაზე საკმაოდ დაძაბულ შე...ხვედრაში მაინც მოახერხა 12 ქულის მოხვეჭა და ამას ზედ დაურთო 7 მოხსნა. ცქიტიშვილს არ უთამაშია, ფეხი აწუხებს და დენვერში ქართული დაპირისპირება არ შედგა. მატჩი კი 97:91 მოიგო „დენვერმა", რომელსაც თუ ცქიტიშვილს არ ჩავთვლით, მხოლოდ ახალი ვარსკვლავწვეული კენიონ მარტინი აკლდა და „მილუოკის" დარად საბრძოლველად იყო განწყობილი.

„მილუოკის" ბანაკიდან ჯერ ხმები არ გამოდის, მაგრამ ყველა საფუძველი არსებობს, ვთქვათ, რომ ფაჩულიამ მწვრთნელს თავი მოაწონა და დრაფტის მეორე წრეში არჩეული და მხოლოდ ერთ სეზონგამოვლილი ჯელი მოთამაშისთვის ასე საჭირო ნდობა დაიმსახურა. გარანტიები ცხადია არ არსებობს, მაგრამ თუ ზაზამ საგამოფენო მატჩებში ასე გააგრძელა მეტოქეთა კალათების ბომბვა, ტერი პორტერი ნამდვილ თამაშებშიც ანდობს „ბაქსის" ფარქვეშეთს. ორ მატჩში 28 ქულა და 13 მოხსნა ყველაფერზე თუ არა ბევრზე ლაპარაკობს.

**კოტე ყორშია**

calvià
36th Chess Olympiad
Olimpiada de Ajedrez
2004
MALLORCA
14-31 Octubre 2004

# გაშალეთ დაფები
## ქალებმა ბოსნიით დაიწყეს


ქართველ გოგონათა ერთ-ერთი ლიდერი ნანა ძაგნიძე

**ესპანურ** ქალაქ-მარგალიტ პალმა დე მალიორკაში დიდი საჭადრაკო ალლუმი, 36-ე ოლიმპიადა დაიწყო, სადაც ვაჟთა 131 და ქალთა 88 ნაკრებისთვის გაიშალა დაფები. ქართველი მოჭადრაკეები ბალეარის კუნძულებზე დიდი იმედით გაემგზავრნენ და სულაც არაა გამორიცხული, დიდი ხნის წინ დაკარგული გვირგვინიც დაიბრუნონ. ეს ქალთა ნაკრებზე უფრო ითქმის, რომელიც რეიტინგში მეოთხეა და მხოლოდ ჩინეთს, რუსეთსა და უკრაინას ჩამორჩება. თანაც, ერთი კვირის წინ ჩვენმა მანდილოსანთა კლუბმა „ნტნ-მა“ გაგვახარა და იქნებ მათი წარმატება ოლიმპიური ტრიუმფის საფუძველიც იყოს. ისე, ქართველი ქალები გასულ ოლიმპიადაზეც, სლოვენიურ ბლედშიც ახლოს იყვნენ ჩემპიონობასთან, თუმცა ბოლო ტურები ჩააგდეს.

რაც შეეხებათ ვაჟებს, ისინი მალიორკაში ოდენ მე-11 საფეხურზე არიან რეიტინგში და მათგან რუსეთის ან უკრაინის ჩამოტოვება საძნელო საქმე იქნება. თუმც ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ვაჟთა ნაკრები ახალგაზრდულია და სწრაფად პროგრესირებადი მოჭადრაკეებით იწონებს თავს, რასაც მსოფლიოში ყველა აღნიშნავს. ნაკრების მთავარ იმედად მაინც ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილი რჩება, დანარჩენი ხუთეული კი დაახლოებით თანაბარი რეიტინგისა და გამოცდილებისაა...

ოლიმპიადის საზეიმო გახსნა გუშინწინ გაიმართა, გუშინ კი მოჭადრაკეები დაფებს მიუსხდნენ. პირველ ტურში ჩვენმა ქალებმა ბოსნიელებს (რეიტინგში 46-ე) 2,5:0,5 სძლიეს — ნანა ძაგნიძემ შავი ფიგურებით აჯობა დიანა დენგლერს, მაია ლომინეიშვილმა თეთრებით დაამარცხა სანია დედიერი, ხოლო მაია ჩიბურდანიძე ასევე თეთრებით მოულოდნელად დაუზავდა ელენა ტიტოვას. იმარჯვეს ჩვენმა მთავარმა კონკურენტებმაც: ჩინეთი — ნორვეგია 2,5:0,5, რუსეთი — ისლანდია 2,5:0,5, აშშ — ვენესუელა 2,5:0,5, უკრაინა — ფინეთი 3:0, ინდოეთი — მექსიკა 2,5:0,5.

ჩვენი ვაჟების პარტიები კი გუშინ გვიან ღამით დასრულდა. აქვე გეტყვით, რომ ოლიმპიადა 31 ოქტომბრამდე გასტანს და თითოეული ნაკრები 14 ტურს გამართავს.

**ილია ნანოგაშვილი**

**ვაჟთა ნაკრები**

ზურაბ აზმაიფარაშვილი
ბაადურ ჯობავა
ზვიად იზორია
გიორგი ყაჭეიშვილი
თამაზ გელაშვლი
მერაბ გაგუნაშვილი

კაპიტანი: თამაზ გიორგაძე
მწვრთნელი: ლაშა ჯანჯღავა

**ქალთა ნაკრები**

მაია ჩიბურდანიძე
ნანა ძაგნიძე
მაია ლომინეიშვილი
ლელა ჯავახიშვილი

კაპიტანი: ნინო გურიელი
მწვრთნელი: ხვიჩა სუპატაშვილი



**კოკა კოლას თასი.** თიხნარი. საპრიზო ფონდი 15 000 $

# კოკა კოლა უცხოთა სასმელია
## ჩიხლაძე ბადესთან ვერ გავიდა

**მეოთხედფინალი**

**ხავიერ გარსია-სინტეში (2, ესპანეთი) — ლადო ჩიხლაძე (საქართველო) 6:4, 6:7 (5:7), 6:1; ბარტ ბექსი (ჰოლანდია) — სერგეი კროტიუკი (რუსეთი); მეტიუ მონკური (საფრანგეთი) — სერგეი პოზდნევი (რუსეთი) 6:4, 6:3; ნიკოლაი დიაჩოკი (უკრაინა) — ანდრეას ფაშინგი (ავსტრია) 4:6, 6:3, 6:2**

გუშინ მესხის აკადემიის ცენტრალურ კორტისპირა ტრიბუნაზე იმდენი ხალხი შეიყარა, პირველ-მეორე წრეში მისულთ ერთად აღებულს გადააჭარბებდა. ამის ორი მიზეზი არსებობდა. პირველი — მეოთხედფინალში 19 წლის ლადო ჩიხლაძე თამაშობდა; და მეორე — გუშინ აკადემიის კორტებზე მზემ გამოანათა.

ტურნირს შერჩენილმა ერთადერთმა ქართველმაც ისე დაიწყო თამაში, ქომაგს რომ გაუხარდებოდა. მეორე ნომრად განთესილი ხავიერ გარსია-სინტეში კორტის სრული ბატონ-პატრონი ოდენ მესამე სეტში გახდა. ესპანელმა პირველი სეტი კი მოიგო, მაგრამ თანაბარ ბრძოლაში. ლადომ 1:4 ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა და თითქოს ანგარიში სათავისოდაც უნდა შეეტრიალებინა, მაგრამ ოთხ გეიმს ველარ აცდა.

მეორე სეტი ქულა-ქულაში დაიწყო. მეხუთე გეიმიდან კი ჩვენებურმა დაახლოებით ოცწუთიანი მცირე ზეიმი მოაწყო. ტრიბუნებისთვის თამაში ჩიხლაძეს ყოველთვის უყვარდა. გუშინაც ამით გვარიანად ასიამოვნა ქომაგები. ბადესთან კარგი გასვლით სტუმარს ერთხანს თავგზა აუბნია, თუმც მერე რატომღაც თავადაც აიჭრა, უმარტივეს სიტუაციებში რამდენჯერმე შეცდა და 5:2-დან ანგარიში 5:5 გახდა.

სეტის საქმე ტაიბრეიკმა გაარჩია. ქართველის ერთი-ორი ლამაზად გაფორმებული ზუსტი დარტყმა და წინა დღეს სამსეტნათამაშევი ესპანელი მორიგი მესამე სეტისთვის გაემზადა.

ესპანელის გადაღლის იმედი გვქონდა, მაგრამ თურმე სულ ამაოდ. პირიქით, ხავიერ გარსია-სინტეში გადამწყვეტ სეტში ისე ათამაშდა, ყველამ ნაადრევად შერაცხა ჩემპიონად. ერთადერთი, რაც ჩიხლაძემ შეძლო, „პრესტიჟის“ გეიმის მოგება იყო.

ნახევარფინალში ესპანელის მეტოქე მასზე ბევრად დაბალრეიტინგიანი თავწითელი ჰოლანდიელი ბარტ ბექსი იქნება. ჯერ კიდევ მეორე წრის მიმოხილვისას ეს ბიჭი „კოკა კოლას თასის“ მოგების რეალურ კანდიდატად მივიჩნიეთ და თუ გარსია-სინტეშსაც გადააბიჯა, არა გვგონია, წინ ვინმე დაუდგეს. მოკლედ, ჩემპიონი ამ წყვილში უნდა მოვიაზროთ.

ბადის მეორე მხრიდან კი ნახევარფინალს უკრაინელმა ნიკოლაი დიაჩოკმა და ფრანგმა მეტიუ მონკურმა უწიეს. პირველმა მჭექარე ბარიტონიან ავსტრიელს ანდრეას ფაშინგს დააშლითებინა ჩოგანი, ხოლო მეორემ რუს სერგეი კროტიუკს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ნახევარფინალი**

ხავიერ გარსია-სინტეში — ბარტ ბექსი
მეტიუ მონკური — ნიკოლაი დიაჩოკი



# გედენიძის გედის სიმღერა
## ასრულებს კედელაშვილი

**ბუდაპეშტში** მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გუშინ საქმეში მჩატეწონოსნებიც ჩაერთვნენ. იქამდე კი პირველი დღისა ვთქვათ: ეროვნულ ნაკრებში ადგილდაბევებული ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონა) ნახევარფინალში ერთი ამოსუნთქვით გავიდა და დღეს იჭიდავებს რუს ვოლკოვთან. ლომერ ჟორჟოლიანსაც (90კგ) ერთი ნაბიჯი აშორებს ბრინჯაოს მედალთან, ხოლო ლევან რაზმაძე (100 კგ) უმედლოდ დაგვირჩა.

გუშინ კი ყველაზე სასახელო გამარჯვება ზაზა კედელაშვილმა (66კგ) გამოაცხო, რომელმაც მეოთხედფინალში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ქართველი ტარიელ ზინდირიდისი, ანუ გედენიძე ვაზარით დააგდო. იქამდე ზაზამ მექსიკელი არმანდო ორტისი 35 წამში ამოიღლიავა, შემდეგ კანადელ საშა მეჰმედოვიჩს ასევე ვაზარი აგემა და დღეს ნახევარფინალში რუს სულეიმან აბაევს დაეჭიდება.

ვერ იყოჩაღა ბორის ფიცხელაურის უმჩატესმა შეგირდმა დავით ასუმბანმა (60კგ), პირველივე შეხვედრა წააგო იაპონელ ჰირაოკა ჰირაოკისთან და რაკი აზიელმა მოჭიდავემ მომდევნო შეხვედრა დათმო, ასუმბანსაც ნაადრევად დაუმთავრდა ბუდაპეშტური დღეები.

იგივე შეემთხვა გრიგოლ ბაინდურაშვილსაც (73), თუმც მან ერთი მეტოქე, დანიელი ტომას იბურგი მაინც მოიხელთა, მაგრამ სამხრეთაფრიკელ მეტიუ იაგოსთან სენსაციურად დამარცხდა დამატებით დროში.

ერთი რამ აშკარაა — ქართველებს კენჭისყრამ არ გაუმართლა, აგერ, კიდევ ერთი იაპონელი გადაეყარა ევროპელ ახალგაზრდებში გაჩემპიონებულ გიორგი შინჯიკაშვილს (81კგ). სამწუხაროდ, გიორგიმ ერთი კოკათი წააგო რუიჯი ჰანამოტოსთან, მაგრამ რეპეშაჟში მაინც გადაინაცვლა, აქ კი ჩვენებური სამხრეთაფრიკელ დილან ნიენმანდსა და სამხრეთკორეელ სიუნგ ჰონ ჰონგს ერთმანეთის მიყოლებით გაუსწორდა. ასე რომ, ბრინჯაომდე ორი ბრძოლის გადაგორებაღა მოუწევს.

**ილია ნანოგაშვილი**



### საფრანგეთი

I დივიზიონი. X ტური
ლილი 4:0 კაენი
II დივიზიონი. XII ტური
ბრესტი 2:1 ლავალი
კლერმონი 2:0 ლორიანი
კრეტეი 2:0 ანჟე
გენიონი 2:1 მონპელიე
ლე ავრი 0:1 შატორუ
ლე მანი 2:1 დიჟონი
ნიორი 1:0 გენგამი
რეიმსი 2:0 ტრუა
ამიენი 0:3 ნანსი

### ავსტრია

I დივიზიონი. XII ტური
ალტახი 0:1 კაპფენბერგი
გრატკორნი 3:2 კერნტენი
ლეობენი 1:3 აუსტრია (ლ)
რიდი 3:0 ვიორგლი
უნტერზიბენბრიუნი 1:2 ლინცერი

### ინგლისი

ჩემპიონატი. XIII ტური
ნოტინგემი 1:0 ვულვერჰემპტონი
II ლიგა. XIII ტური
კემბრიჯი 0:1 ნორთჰემპტონი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXX ტური
უოტერფორდი 1:4 კორკ სიტი
შელბურნი 1:1 ბოჰემიანსი
სენტ პატრიკსი 2:2 დუბლინი

### პორტუგალია

სუპერლიგა. VI ტური
ჟილ ვისენტე 0:1 ბრაგა

### იტალია

სერია B. VIII ტური
სალერნიტანა 0:0 ტორინო

### ბელგია

იუპილერლიგა. IX ტური
ბრიუსელი 0:1 ანდერლეხტი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. VIII ტური
გრააფსხაპი 1:3 ალკმაარი
II დივიზიონი. X ტური
აპელდორნი 2:1 ჰაარლემი
ვეენდამი 3:0 ოსი
დორდრეხტი 2:1 ჰელმონდი
ეინდჰოვენი 0:5 ზვოლე
სიტარდი 1:2 ემენი
ჰერაკლესი 3:2 ეძსელსიორი
სპარტა 4:1 კამბური
ტელსტარი 2:0 ვოლენდამი
ვენლო 1:0 მაასტრიხტი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. VIII ტური
დუისბურგი 3:1 უნტერჰახინგი
ერფურტი 0:3 აუე
კარლსრუე 4:1 ესენი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XIII ტური
ზანკტ პაული 0:0 ქემნიცი
კილი 1:1 ვოლფსბურგი (მ)
სამხრეთ რეგიონალლიგა XI ტური
მიუნხენი (მ) 0:1 აალენი
ელვერსბერგი 0:0 ჰოფენჰაიმი
ნოტინგენი 3:4 ზიგენი
კიკერსი 1:3 დარმშტადტი
ფიონხტი 1:1 შტუტგარტი (მ)

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XII ტური
კრიენსი 2:0 ბოლში
ვინტერთური 2:1 ვოლენი

### პოლონეთი

I ლიგა. IX ტური
კრაკოვია 2:1 პოლონია

### სლოვენია

სი მობილ ლიგა. XI ტური
ოლიმპია 4:1 ლიუბლიანა



REUTERS ბრიუსელიდან

# მეფენი და ზღვაზე თეთრი აფრები

კარგი ხალხია ეს ევროპელი მეფე-უფლისწულები, ნაოსნობა კი გამორჩევით უყვართ. სენ ტრაპეში რეგატა ნამოწყებულა და თუკი რომელიმე გვირვინოსნის ნახვა გნადიათ, იქაურ ნავსადგურს უნდა მიადგეთ. აბა, დანიის პრინცი ფრედერიკი, საუზმეს ეზიდება თავის ნავზე და იმ ძველი დანიის პრინცის ამბავი სულაც არ ადარდებს. შვედების მეფე კარლ გუსტავი კი სწორედ რომ აფროსნობაზე ესაუბრება საბერძნეთის მეფეს დევნილობაში, კონსტანტინეს. ამ საერთო ნაოსნობას განზე დაურჩა ბელგიელთა უფლისწული ფილიპი, რომელიც ლაეკენის სასახლეში თანამეცხედრე მატილდასთან ერთად ხვდება ქვეშევრდომ ოლიმპიელებს. ჩოგბურთელი ჟუსტენ ენინი ალბათ იცანით...



REUTERS სან ტროპედან



REUTERS სან ტროპედან

# პირველი ჩინური



REUTERS შანხაიდან

შანხაიმ მოხდენილად და კარგად გაათამაშა ამოტოლა ჩინეთის ისტორიაში პირველი ენბიეიური თამაში. „ჰიუსტონმა" მჩჩნ მოუგო „საკრამენტოს" წინასასეზონო ამხანაგურში, რომელიც სწორედ რომ შანხაიში მთელი შოუთი გაიმართა. „ჰიუსტონში" ჩინელი იაო მინგი თამაშობს და ფაქტორი ესეც იყო. შესვენებაზე მოქნავე ჩირლიდერებმა კი ყველა მოხიბლეს.

# უდაბნოს მხედარი

უდაბნოს მეფე ახლა ეს კაცია. ნორვეგიაში უდაბნო არ არის, სამაგიეროდ არის არაბეთის ნახევარკუნძულზე და ნორვეგიელ პაალ ანდრეს ულვალსეტერს მოუგია საამიროების უდაბნოს რალი, რითაც ამ საქმეში მსოფლიოს ჩემპიონი შექნილა.



REUTERS დუბაიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge